With funding from
Austrian Development Cooperation

ეკოკლუბის **გზამკვლევი**

იმოქმედე კლიმატისთვის

ნიკო კეცხოველის
პრემია
2024

SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის წლევანდელი თემაა: იმოქმედე კლიმატისთვის

კონკურსში მონაწილე სკოლები ძირითად აქცენტს გააკეთებენ მდგრადი განვითარების მე-13 მიზანზე: კლიმატის მდგრადობის მიღწევა - კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება.

ეს არ ნიშნავს, რომ მდგრადი განვითარების სხვა მიზნების ფარგლებში განხორციელებული ინიციატივები შეუფასებელი დარჩება. ისინი ისევე შეფასდება, როგორც აქამდე, თუმცა, მე-13 მიზანზე კონცენტრაცია ეკოკლუბებს დამატებით ქულებს მოუტანს.

კერძოდ, ამ მიზნის ქვეშ (SDG 13) განხორციელებულ ნებისმიერ აქტივობაში მიღებული ქულა 1.5 კოეფიციენტზე გამრავლდება.

წელს კიდევ ერთ სიახლეს გთავაზობთ - „მდგრადი განვითარების კალენდარს“, რომელიც საშუალებას მოგცემთ კონკრეტულ თვეებში უფრო მეტად კონცენტრირდეთ მდგრადი განვითარების კონკრეტულ მიზნებზე და ამ საშუალებით შეძლოთ დამატებითი ნერგების დაგროვება.

მე-13 მიზნის მსგავსად, თითოეული საკონკურსო თვისთვის შერჩეული პრიორიტეტული მიზნის ქვეშ განხორციელებული აქტივობა დამატებითი ნერგებით შეფასდება.

იმისთვის, რომ მიიღოთ ბონუს-კოეფიციენტი, თვეების მიხედვით განაწილებული პრიორიტეტული მიზნების შესაბამისად განხორციელებული ინიციატივის შესახებ ინფორმაცია უნდა ატვირთოთ იმავე თვეში, ან შემდეგი თვის პირველ სასწავლო დღეს. სხვა შემთხვევაში, თქვენთვის მონიჭებული ქულა კოეფიციენტზე აღარ გამრავლდება.

ეს არ ეხება კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების მიზანს (SDG 13), რომელიც მთელი წლის განმავლობაში პრიორიტეტული იქნება.

კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების თემა საკმაოდ ვრცელია და მოიცავს როგორც სათბური აირების შემცირების, ასევე კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის საკითხებთან დაკავშირებულ ისეთ დარგებს, როგორიცაა: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, შენობები, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მიწათსარგებლობა და მიწათსარგებლობის ცვლილება, ტყეები, წყლის რესურსები, ბუნებრივი კატასტროფების მართვა და სხვა. ამ თვალსაზრისით, მე-13 მიზანი გარკვეულწილად ფარავს მდგრადი განვითარების რამდენიმე სხვა მიზნის ამოცანებსაც. გადაფარვის შემთხვევაში, საჭირო იქნება დამატებითი განმარტება, თუ როგორ დაუკავშირა ეკოკლუბმა განხორციელებული ღონისძიება კლიმატის ცვლილების პრიორიტეტულ მიზანთან.

მდგრადი განვითარების კალენდარი

გთხოვთ, გაითვალისწინოთ;

- აქტივობის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოიგზავნოს აქტივობის განხორციელებიდან არაუმეტეს 2 თვის განმავლობაში
- დღეში მიიღება არაუმეტეს 5 აქტივობისა
- არ ფასდება აქტივობები, რომელიც არის სასკოლო კურიკულუმის (ფორმალური სწავლების / სასკოლო გაკვეთილების) ნაწილი

ნიკო კვახოფელის სასკოლო ჯილდო 2024 - იმოქმედე ეფექტურობისთვის / ეკოლოგიის მგზავრები

შინაარსი

ინფორმაცია პროექტის შესახებ 5
რა უნდა იცოდეთ, თუ თქვენს სკოლას ჯერ არ უცდია კონკურსში მონაწილეობა 5
რატომ მდგრადი განვითარების მიზნები? 6
რას ნიშნავს მდგრადი განვითარება? 6
რატომ არის პრემია ნიკო კეცხოველის სახელობის? 7
საკონკურსო პროცესი 8
პრიზები 9
კონკურსის ფორმატი 11
როგორ მივიღოთ მონაწილეობა? 13
როგორ დავაგროვოთ „ნერგები“? 15

მდგრადი განვითარების მიზნები

არა - სიღარიბეს! 16
არა - შიმშილს! 19
ჯანსაღი ცხოვრება და კეთილდღეობა 23
ხარისხიანი განათლება 28
გენდერული თანასწორობა 33
სუფთა წყალი და სანიტარია 36
ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია 39
ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა 43
მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა 46
შემცირებული უთანასწორობა 49
მდგრადი ქალაქები და დასახლებები 53
მდგრადი მოხმარება და წარმოება 57
კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები 61
ოკეანისა და ზღვის რესურსები 64
დედამიწის ეკოსისტემა 67
მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები 71
პარტნიორობა მიზნების მისაღწევად 75
რა უნდა ავტვირთოთ პორტალზე აქტივობის აღწერასთან ერთად? 78
კონკურსის კოორდინატორების საკონტაქტო ინფორმაცია 81

პროექტის შესახებ

2014 წელს, CENN-ის პროექტის - ***ტყის მდგრადი მართვა საქართველოში*** - ფარგლებში, დაარსდა სასკოლო გარემოსდაცვითი კონკურსი, სახელად, ***ნიკო კეცხოველის პრემია.***



პროექტს ფინანსურად მხარს უჭერს ***ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა***/ *Austrian Development Cooperation.*

კონკურსის თანაორგანიზატორები არიან:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს პარლამენტი.

დაარსებიდან დღემდე კონკურსში მონაწილეობა მიიღო 1,000–ზე მეტმა სკოლამ.

რა უნდა იცოდეთ, თუ თქვენს სკოლას ჯერ არ უცდია კონკურსში მონაწილეობა

- ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია - ეკოკლუბების კონკურსია. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ პროექტი არა მხოლოდ გამორჩეული ეკოკლუბების, ცალკეული მასწავლებლების თუ მოსწავლეების გამოვლენისა და დაჯილდოების შესაძლებლობას იძლევა, არამედ არის სკოლებისათვის ახალი შესაძლებლობების, ცოდნის მიღებისა და გაზიარების, პიროვნული ზრდისა და ორგანიზაციული განვითარების უწყვეტი პროცესი;
- კონკურსის მთავარი ფასეულობებია: პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება გარემოსადმი, სოლიდარობა და თანამშრომლობა;
- კონკურსის მთავარი მიზანია, უკეთ დაგანახოთ, რომ საკუთარი ხელით შეგიძლიათ განახორციელოთ ცვლილებები და გაუმჯობესოთ ბუნებრივი და სოციალური გარემო. კონკურსში მონაწილეობის მიღებით თქვენ თავად გახდებით მდგრადი განვითარების პროცესის მონაწილენი.
- ეკოკლუბები თავიანთ აქტივობებს გლობალური მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად გეგმავენ და ახორციელებენ. სწორედ ამგვარად, თითოეულ ეკოკლუბელს საკუთარი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს შერჩეული მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევაში. მომდევნო თავებში დეტალურად გაიგებთ საკონკურსო პროცესის შესახებ.

რატომ არის მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების მიზნები ?

- მდგრადი განვითარების მიზნები 17 მიზნისა და 169 ინდიკატორის ნაკრებია, რომლებზეც თანხმდება გაეროს ყველა წევრი ქვეყანა უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის მისაღწევად.

  ეს მიზნები ჩვენ წინაშე არსებულ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს ეხება: სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხებს, ასევე - კლიმატის ცვლილებასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ.

  ეს მიზნები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და იმისათვის, რომ არავინ დარჩეს მათ მიღმა, მნიშვნელოვანია, თითოეული მიზანი და ინდიკატორი 2030 წლამდე შესრულდეს.[1]

- თითოეული ჩვენგანის პიროვნულ არჩევანს დიდი ძალა აქვს და მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ადგილობრივ და გლობალურ გამოწვევებზე.

რას ნიშნავს მდგრადი განვითარება ?

- „მდგრადი განვითარება პასუხობს დღევანდელ მოთხოვნილებებს იმგვარად, რომ მომავალ თაობებს შეუნარჩუნოს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა“.
  ჰარლემ ბრუნდტლანდი, 1987 წელი

- მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. მიიჩნევა, რომ განვითარება უნდა იყოს ეკონომიკურად ხელსაყრელი, სოციალურად **სამართლიანი და გარემოსადმი დამზოგავი.**[2] გაიგეთ მეტი გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ მომზადებულ სასკოლო წიგნებში მდგრადი განვითარების საკითხებზე **აქ.**

ნიკო კეცხოველის სასკოლო ჯრჭის 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოსკოლების ბიბლიოთეკა

[1] https://uni.cf/2VgjDH0
[2] www.civiceducation.ge



რატომ არის პრემია ნიკო კეცხოველის სახელობის?

ნიკო კეცხოველი ქართველი მეცნიერი, მწერალი და ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელია; იგი ჩვენი ქვეყნის გარემოს გამორჩეული დამცველი და ბუნების დიდი გულშემატკივარი იყო.

1917 წელს ნიკო კეცხოველის უშუალო მონაწილეობით დაფუძნდა საქართველოს ეროვნულ–დემოკრატიული პარტია და ნიკო წლების მანძილზე იყო მისი ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ–ერთი ლიდერი.

ნიკო კეცხოველის სამეცნიერო ნაშრომები ეხება საქართველოს მცენარეული საფარის გეობოტანიკურ, ბოტანიკურ-გეოგრაფიულ და სისტემატურ გამოკვლევას, მისი აღდგენისა და დაცვის პრობლემებს. იგი ავტორია მრავალი ლიტერატურული ნარკვევის, ნოველისა და მოთხრობისა.

ნიკო კეცხოველის წიგნებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისა და კვლევის შესახებ კონკურსის ვებგვერდზე ნახავთ.

საკონკურსო პროცესი

- ყველა ქმედება, რომელსაც კონკურსის ფარგლებში ბუნებრივი და სოციალური გარემოს სასიკეთოდ განახორციელებთ, ფასდება პირობითი ერთეულით - „ნერგებით“.

- სამოქალაქო აქტივიზმის დავალებები, იდეები მოცემულია მდგრადი განვითარების თითოეული მიზნის შესაბამისად. თითოეული აქტივობა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, 20 ან 30 „ნერგით“ ფასდება. დეტალურ ინფორმაციას ნახავთ მომდევნო თავებში.

- თქვენ სწავლობთ, ასწავლით სხვას, ახორციელებთ გარემოსდაცვით და სოციალურ ღონისძიებებს; ამის დამადასტურებელ ინფორმაციას ტვირთავთ კონკურსის პორტალზე forestry.ge და, ამგვარად, აგროვებთ „ნერგებს“ ეკოკლუბისთვის. 2023 წლის ივნისში ყველაზე მეტი „ნერგის“ მქონე ეკოკლუბელების რეიტინგი გამოქვეყნდება forestry.ge-ზე, ნახევარფინალური და ფინალური ტურების შემდეგ კი გამოვლინდებიან სამი გამარჯვებული და პარტნიორი ორგანიზაციის რჩეული ეკოკლუბები.

გვჯერა, რომ ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის მონაწილეები ჩვენი ქვეყნის მომავალი ლიდერები არიან, რომლებიც ხელს შეუწყობენ სათემო განვითარებას და ცვლილებებს უკეთესი გარემოს მისაღწევად.

კონკურსის ვებგვერდი

forestry.ge

კონკურსის ოფიციალური ფეისბუქჯგუფი

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის მონაწილეები

#NIKOKETSKHOVELI

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოკლუბის გზამკვლევი

პრიზები

2016-2017 საკონკურსო წლის გამარჯვებულებმა მიიღეს:

- თანამედროვე ეკოჰაბები სკოლებში. ეკოჰაბი არის სკოლაში არსებული საერთო სამუშაო სივრცე, რომელიც ითვალისწინებს გარემოსადმი მეგობრულ მიდგომებს.



2017-2018 საკონკურსო წლის გამარჯვებულებმა მიიღეს:

- სასწავლო ტური ავსტრიასა და სლოვენიაში.

2018-2019 საკონკურსო წლის გამარჯვებულებმა მიიღეს:

- ეკოკლუბის თითოეული წევრისთვის საგზური „მწვანე ბანაკში“;
- დაცულ ტერიტორიებზე „ნორჩ რეინჯერთა სკოლის“ 7-დღიანი საგზური.

2020 და 2021 წლებში გამარჯვებულებმა მიიღეს:

- 8,000, 6,000 და 4,000-ლარიანი გრანტები ეკოკლუბების განსავითარებლად.

2021, 2022 და 2023 წლებში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ:

- 5,000, 4,000 და 3,000-ლარიანი ფულადი ჯილდოებით სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისათვის.

ამასთან, პროექტის ფარგლებში ჯილდოვდებიან გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციაში (მაგ.: წლის აღმოჩენა, წლის ყველაზე ეკომეგობრული და ა.შ).

კონკურსის ფორმატი

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია საქართველოს ყველა რეგიონს ფარავს.
კონკურსი სამ ეტაპად მიმდინარეობს:

ეტაპი პირველი - „ნერგების“ დაგროვება

პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ, ყველა ეკოკლუბს შეუძლია თავის პროფილში „ნერგების“ დაგროვება. „ნერგები” გროვდება თქვენ მიერ განხორციელებული ინიციატივების შესაბამისად. თითოეული რეგიონის ყველაზე აქტიური და, შესაბამისად, „ნერგების“ ყველაზე დიდი რაოდენობის მქონე სკოლები გადადიან ნახევარფინალურ ეტაპზე.

5 სკოლა, რომელიც ყველაზე მეტ „ნერგს” დააგროვებს, ავტომატურად გადავა ფინალში. საუკეთესო ხუთეული გამოვლინდება არა რეგიონების, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ნახევარფინალურ შეხვედრებზე ეკოკლუბების აქტიურობის შესაბამისად, შესაძლოა, დაწესდეს პრიზები სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებისათვის.

ეტაპი მეორე - ნახევარფინალური შეხვედრები

ამ ეტაპზე, თქვენ შესაძლებლობა გეძლევათ, ესაუბროთ საზოგადოებრივი სექტორისა და გარემოს დაცვის სფეროს ექსპერტებს გუნდის მუშაობის შედეგებზე, შეძენილ ცოდნასა და მიღწეულ ცვლილებებზე. ჟიური არა მხოლოდ შეაფასებს თქვენი სკოლის ეკოკლუბის წარმომადგენლებს, არამედ რჩევებს მოგცემთ, რაც მოსწავლეებისათვის ფასეული გამოცდილებაა.

(კონკურსის თანაორგანიზატორი პარტნიორები არიან: FAO, WWF საქართველო, National Geographic Georgia, შვიდწლიანი ინიციატივა „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“, რომელიც ხორციელდება კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), შვედეთისა და საქართველოს მთავრობების დაფინანსებით, ასოციაცია „სიქა“, ევროპის ფონდი, საბუკო, თბილისის ზოოპარკი...)

ეტაპი მესამე - ფინალი

ნახევარფინალის საუკეთესო შედეგების მქონე სკოლები, პირველი ეტაპზე გამორჩეულ (ყველაზე შედეგიან) 5 სკოლასთან ერთად, ფინალურ ეტაპზე გადავლენ. ფინალურ ტურში გამოვლინდება **ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის მფლობელი** 3 სკოლა და ასევე - ჟიურისა და პარტნიორი ორგანიზაციების რჩეულები.

კონკურსის კალენდარი

„ნერგების“ დაგროვების პროცესი:

ოქტომბერი, 2023[3] - 1 ივნისი, 2024[4]

რეგიონული ნახევარფინალები:

ივნისი-ივლისი, 2024

ფინალი:

სექტემბერი, 2024

[3] პორტალზე შესაძლებელია აიტვირთოს 1-ლი სექტემბრის შემდგომ განხორციელებული აქტივობები
[4] **პორტალზე დარეგისტრირების ბოლო ვადა განსაზღვრული არ არის, თუმცა, გირჩევთ, არ გადადოთ და დროულად დარეგისტრირდეთ.** დარეგისტრირება აუცილებელია ყველა სკოლისათვის, მათ შორის - წინა წლების მონაწილეებისათვის.

როგორ მივიღოთ მონაწილეობა კონკურსში

პირველ რიგში, საჭიროა, რეგისტრაციის გავლა. ამით, თქვენ აფიქსირებთ, რომ გსურთ პროექტში მონაწილეობა მიიღოთ.

შექმენით სკოლის ეკოკლუბი, რომელიც საკონკურსო წლის განმავლობაში, კონკურსის ფარგლებში იმოქმედებს. კლუბში არ უნდა შედიოდეს 10 წევრზე მეტი (პედაგოგის ჩათვლით).

საბოლოოდ, რეგისტრაციის ველში შეიყვანეთ ეკოკლუბის წევრების მონაცემები.



ნიკო კვიხოველის სასკოლო პრემია 2024 - იმოქმედე ადგილობრივად / ეკოკლუბის მასალები

ეკოკლუბი არის მოხალისეების გუნდი (მოსწავლეები, პედაგოგები), რომელიც ქმნის ორგანიზაციულ ერთეულს, ეხმარება სკოლასა და თემს, გაიაზროს მდგრადი ცხოვრების წესის მნიშვნელობა და შეამციროს გარემოზე მავნე ზეგავლენა. სკოლის ეკოკლუბს, შესაძლოა, ჰყავდეს არჩეული ლიდერი/ლიდერები, ჰქონდეს საკუთარი წესდება და სამოქმედო გეგმა. სასურველია, სამოქმედო გეგმაში გაწერილი იყოს, თუ რა სიხშირით ხდება ეკოკლუბის წევრების შეკრება.

ეკოკლუბის შექმნა თანხვედრაშია და ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელებასა და "ახალი სკოლის მოდელს".

ყურადღებით გაეცანით წინამდებარე კონკურსის გზამკვლევს, სადაც მოცემულია „ნერგების“ დაგროვების შესაძლებლობები და მოყვანილია კონკრეტული მაგალითები.

ჩამოაყალიბეთ გუნდი და დარეგისტრირდით პორტალზე - forestry.ge
გაითვალისწინეთ, რომ აუცილებელია გუნდის ხელმძღვანელი იყოს მასწავლებელი.

შეარჩიეთ თქვენი ეკოკლუბისთვის საინტერესო მდგრადი განვითარების მიზანი, გაეცანით ინფორმაციას ამ მიზნის შესახებ და ნახეთ „ნერგების“ დაგროვების შესაძლებლობები; შეარჩიეთ სასურველი აქტივობა, დაიწყეთ დაგეგმვა და განხორციელება.

„ნერგების“ მისაღებად თქვენი პროფილიდან (პერსონალური პროფილი ექნება ყველა დარეგისტრირებულ ეკოკლუბს) შესაბამის ფორმატში ატვირთეთ მასალები განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. დეტალები მოცემულია მომდევნო ქვეთავში.

ნიკო კეცხოველის სასკოლო ჯრების 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოკლუბის გზამკვლევი

როგორ დავაგროვოთ „ნერგები“?

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიაში მონაწილეობით თქვენ უკვე ხდებით მნიშვნელოვანი გლობალური პროცესის ნაწილი.

ამ თავში თქვენ გაეცნობით **მდგრადი განვითარების მიზნებს.** შეარჩიეთ თქვენთვის საინტერესო მიზანი/მიზნები; მასწავლებელთან ერთად დაგეგმეთ, რა გსურთ, გააკეთოთ და დაიწყეთ „ნერგების“ დაგროვება.

ქვემოთ მოცემულია მდგრადი განვითარებისთვის თითოეული მიზნის შესახებ ინფორმაცია; აქვე, გაეცნობით ინფორმაციას, თუ როგორ უნდა განახორციელოთ ეს მიზნები და დააგროვოთ „ნერგები.” ალბათ თქვენთვისაც საინტერესო იქნება იმის გაგება, რომ ეს იდეები ახალგაზრდების მიერ არის მომზადებული ახალგაზრდებისთვის - Young Person’s Guide Changing The World (AIESEC, Youth4GG and UN Volunteers).

ისეთი იდეა გაგიჩნდათ, რომელიც გზამკვლევში არ არის მითითებული? შეგიძლიათ, იფიქროთ თავისუფლად და აქ მოცემული ინფორმაცია გამოიყენოთ, როგორც საგზაო რუკა და შთაგონების წყარო. შეგიძლიათ, გამოგვიგზავნოთ ეკოკლუბის ნებისმიერი აქტივობა, მთავარია:

- ემთხვეოდეს კონკურსის ფასეულობებს და გამყარებული იყოს შესაბამისი მასალებით
- ემსახურებოდეს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზნის მიღწევას.

ეს მნიშვნელოვანია! *პოსტაღზე მასაღების ატვისთვამდე, გთხოვთ, დაჩწმუნდეთ, ჰომ სწოჩი ფოტოები შეაჩჩიეთ, ჰომღებზეც კაჩგად ჩანს, ჰომ აღწეჩიღი აქტივობა ეკოკღუბეღების მიეჩ აღწეჩიღ ღჩოს და ადგიღას ჩატაჩდა. შეგიძღიათ, დამატებით დაუჩთოთ შეხვედჩის მონაწიღეთა სია ან სხვა დამხმაჩე მასაღა. გამაჩთუღი აღწეჩისა და დამადასტუჩებეღი ინფოჩმაციის გამოგზავნით დაზოგავთ პჩოექტის გუნდისა და ეკოკღუბის ღჩოს.*

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2024 - იმოქმედე ეფექტურად / ეკოკლუბის მმართველი

1



არა - სიღარიბეს!

სიღარიბე შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფულის და/ან სასიცოცხლო რესურსების ისეთი დეფიციტი, რომელიც ადამიანებისთვის ართულებს ან შეუძლებელს ხდის, იცხოვრონ ღირსეულად და უზრუნველყონ საკუთარი თავი.

მსოფლიოს მასშტაბით, 836 მილიონი ადამიანი ჯერ კიდევ უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. სამწუხაროდ, მოსალოდნელია, რომ მათი რიცხვი COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის გამო კიდევ უფრო გაიზრდება.

ორი რეგიონი, რომელიც ამ მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია, არის სუბსაჰარული აფრიკა და სამხრეთ აზია. ამ რეგიონებში სიღარიბის ზღვარს მიღმა მსოფლიოს მოსახლეობის 70% ცხოვრობს.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #1 მიზნის მისაღწევად?

განათლებულ მოსახლეობას შეუძლია, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ეს კი ხელს უწყობს თანასწორ უფლებებს, ეკონომიკის განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას, ასევე - საბაზისო სერვისების მიწოდებას ყველასთვის, მესაკუთრეობის, მიწისა და საკუთრების კონტროლის, მემკვიდრეობის გადაცემის, შესაბამისი ახალი ტექნოლოგიებისა და ფინანსური მომსახურების ჩათვლით.

შესაბამისად, განათლების ხელმისაწვდომობას წვლილი შეაქვს სიღარიბის შემცირებაში.

რისი მიღწევა გვსურს?

- **აღარ იყოს უკიდურესი სიღარიბე.** არავინ ცხოვრობდეს დღეში 6.3 ლარზე ნაკლები თანხით.
- **განახევრდეს სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების რიცხვი.**
- ყველას ჰქონდეს **თანაბარი უფლება, ისარგებლოს ეკონომიკური რესურსებითა და საბაზისო სერვისებით (განათლება, ჯანდაცვა, სუფთა წყალსა და სანიტარიაზე წვდომა).**
- გაიზარდოს **დაუცველი საზოგადოებების** უნარი გაუმკლავდნენ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ კატასტროფებსა თუ სოციალურ და ეკონომიკურ საგანგებო სიტუაციებს.

რთულ ამოცანად გეჩვენებათ?

დიახ, ნამდვილად ასეა: მსოფლიოში 1 მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს დღეში 6.3 ლარზე ნაკლები თანხით. თუმცა თქვენ შეგიძლიათ შეიტანოთ წვლილი ამ რთული პრობლემის აღმოფხვრაში.

რით დავიწყოთ?

სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების რიცხვი უმუშევრობის მაღალ დონესა და განათლების ნაკლებობას უკავშირდება (დიდწილად მოწყვლად თემებში).

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

- **მონაწილეობა მიიღეთ სოციალური პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიაში (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში):** ქვეყნების უმეტესობას აქვს სტრატეგია, რომელიც დაუცველ საზოგადოებებს იცავს სხვადასხვა სუბსიდიების, შეღავათებისა და საგრანტო პროგრამების მეშვეობით. საზოგადოების წევრებმა, ზოგჯერ არც კი იციან ამის შესახებ, შესაბამისად, ვერც თავიანთ უფლებებს იცავენ.

  ისწავლეთ მეტი ამ საკითხის შესახებ, შემდეგ კი გაავრცელეთ ინფორმაცია თქვენს გარშემო: მეგობრებში, ოჯახში, მეზობლებში

- **მონაწილეობა მიიღეთ მეწარმეთა ტრენინგის ორგანიზებაში, ასევე სამუშაოსთან დაკავშირებულ და უნარების განვითარების პროგრამაში (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში):** თქვენ შეგიძლიათ გაზარდოთ მეწარმეთა რაოდენობა. ეს მეტ ადამიანს უზრუნველყოფდა სამუშაოთი და შემოსავლით, რაც აღმოფხვრიდა სიღარიბეს. მოიწვიეთ ადგილობრივი მეწარმეები ტრენინგის გასამართად ან მოიძიეთ ადგილობრივი პროგრამა თქვენთვის და თქვენი კლასისთვის შესაბამისი უნარების გასავითარებლად. ახალი უნარების გაუმჯობესებითა და დაუფლებით თქვენ, თქვენი თანატოლები, ასევე თქვენი სკოლისა და თემის წარმომადგენლები, უფრო კომპეტენტურები გახდებით იმისათვის, რომ შეხვიდეთ სამუშაო ბაზარზე და დასაქმდეთ.

  შეგიძლიათ, მოიწვიოთ სხვადასხვა სფეროს სპეციალისტები, თუნდაც - თქვენი მშობლები თქვენს სკოლაში, უნივერსიტეტში თუ ადგილობრივ სათემო სივრცეში. აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად ასევე შეგიძლიათ, გამოიყენოთ ონლაინრესურსები (მაგალითად: პორტალი ახალი და მიმდინარე პროექტების შესახებ: https://projects.org.ge) და მოიძიოთ მეწარმეთა მხარდამჭერი ორგანიზაციები/ პროგრამები.

- **ისწავლეთ მეტი ეკონომიკური უფლებების შესახებ:** მასწავლებელთან ერთად, მოიწვიეთ სპეციალისტი იუსტიციის სახლიდან ან მერიიდან. სთხოვეთ მათ ჩაატარონ ონლაინ-გაკვეთილი მიწასთან და საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებების შესახებ.

- **მხარი დაუჭირეთ კამპანიებს, რომლებიც აგროვებენ ნივთებს საგანგებო სიტუაციაში დაზარალებული ადამიანებისთვის:** სხვადასხვა განვითარების სააგენტო (წითელი ჯვარი, გაეროს ბავშვთა ფონდი და სხვ.), საინიციატივო ჯგუფი და არასამთავრობო ორგანიზაცია აწარმოებს კამპანიებს კატასტროფებით დაზარალებული თემების მხარდასაჭერად. გაიღეთ ტანსაცმელი, საკვები და სხვა ნივთები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

თითოეული ღონისძიება 30 „ნერგის“ ტოლფასია!

„ნერგების“ მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის დეტალური აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 1.

2

არა - შიმშილს!

მსოფლიოში 795 მილიონი ადამიანი არასაკმარისად იკვებება და მოსალოდნელია, რომ ეს რიცხვი 2050 წლისთვის 2 მილიარდით გაიზრდება. ამ ადამიანთა დიდი უმრავლესობა განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს, სადაც მოსახლეობის 12.9% შიმშილის ზღვარზეა.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #2 მიზნის მისაღწევად?

აგრარული განათლება აუცილებელია სოფლის განვითარებისათვის და მცირე ფერმერების შემოსავლების გასაზრდელად. განათლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის. უახლესი ცოდნა ასევე გვეხმარება ისეთი პრობლემების თავიდან აცილებაში, რომლებსაც პოტენციურად შეუძლია შიმშილის გამოწვევა, მაგალითად: გვალვა, წყალდიდობები და სხვა სახის ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული კატასტროფები.

რისი მიღწევა გვსურს?

- **არავის შიოდეს.**
- ყველას ჰქონდეს საკმარისი **ნოყიერი საკვები, რომ იყოს ჯანმრთელი.**
- გაიზარდოს **სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა** და ადგილობრივი მწარმოებლებისთვის **რესურსებზე** წვდომა.
- გაიზარდოს **ინვესტირება სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურასა** და **სასოფლო-სამეურნეო კვლევებში.**

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

ითვლება, რომ მსოფლიოში ყოველი მე-8 ადამიანი ქრონიკული შიმშილის პირობებში იმყოფება. თუ თქვენ გაგიმართლათ და მათ რიცხვს არ მიეკუთვნებით, თქვენს სკოლაში, საცხოვრებელ კორპუსში ან სამეზობლოში შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომლებსაც საკვების ნაკლებობის პრობლემა აქვთ.

რით დავიწყოთ?

- **ისწავლეთ საკვების მომზადება:** ამით თქვენ შეძლებთ უფრო ჯანსაღი და ნოყიერი საკვების მომზადებას, რომ შეინარჩუნოთ ჯანმრთელობა.

- **შეიძინეთ ადგილობრივი ფერმერების/მწარმოებლების ნაწარმი:** ჩვევად გაიხადეთ საკვების ყიდვა ადგილობრივ მაღაზიებსა და ბაზრებში ადგილობრივი ფერმერებისა და მათი ბიზნესების მხარდასაჭერად.

ნიკო კვანტარაძის სასკოლო ჯრჭილი 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოსალუნის გზაკვალევი

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

- **ჩაატარეთ კვლევა[5] და დაწერეთ სტატია[6] / სტატიების ციკლი:**
    - **რამდენად ჯანსაღია პროდუქტი,** რომლითაც სარგებლობენ სკოლაში ან თემში არსებული სხვადასხვა კვების ობიექტები; გაიგეთ მეტი ადგილობრივი ფერმერების მიერ წარმოებული საკვები პროდუქტების გამოყენების შესახებ.
    - **სოფლის მეურნეობის პროგრესის შესახებ:** სოფლის მეურნეობის სექტორი საჭიროებს ინოვაციებსა და ტექნოლოგიურ პროგრესს, რათა გაიზარდოს მისი პროდუქტიულობა და შენარჩუნდეს მისი მდგრადობა. ისწავლეთ სასოფლო-სამეურნეო ახალი პრაქტიკის შესახებ და გაუზიარეთ თქვენი ცოდნა თქვენს კლასს, სკოლას და თემს.
    - **ტყის არამერქნული რესურსების, სეზონური ბუნებრივი პროდუქტებისა და მათი გამოყენების ადგილობრივი ტრადიციების შესახებ:** ყურადღება გაამახვილეთ აღნიშნული პროდუქტების არამდგრად და დაუდევარ მოხმარებასთან დაკავშირებულ გარემოს დაცვით და უსაფრთხოების რისკებზე.

- მონაწილეობა მიიღეთ ან თვითონ **წამოიწყეთ ინიციატივა/კამპანია (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში):**

    - ადგილობრივი ფერმერების ნაწარმის პოპულარიზაციის შესახებ. იზრუნეთ ადგილობრივ ბაზარზე მათი წილის გაზრდასა და ადგილობრივი კვების ობიექტებში მათი გამოყენების წახალისებისათვის.
    - როგორ გამოვიყენოთ ტყის არამერქნული რესურსები და სეზონური ბუნებრივი საკვები ნაკლები დანახარჯებით და ეფექტიანად.
    - ადგილობრივი კერძების პოპულარიზაციისთვის.

- **იყავით ცვლილებების ინიციატორები** - იზრუნეთ, რომ სკოლაში/სკოლებში არსებულ კვების ობიექტებში ჯანსაღ საკვებზე მიგიწვდებოდეთ ხელი. ასევე, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებისთვის საჭირო დღიური რაციონი იყოს უზრუნველყოფილი.

- მოიძიეთ ლიტერატურა და **ჩაატარეთ ტრენინგი: ისწავლე მეტი და ასწავლე სხვას კვების შესახებ (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში):** ჩვენი ჯანმრთელობა დამოკიდებულია საკვებზე, რომელსაც ვიღებთ. გაიგებთ რა მეტს კვების შესახებ და დაიცავთ რა ჯანსაღი კვების რეჟიმს, ამით გაზრდით საკუთარ პროდუქტიულობას და გაიუმჯობესებთ ჯანმრთელობას. საკვების ყიდვისას დააკვირდით მის კვებით ღირებულებას. დააკვირდით, ეს ამოცანა პირდაპირ კავშირშია ასევე მდგრადი განვითარების მე-3 მიზანთან.

- **მოამარაგეთ საკვები ბანკები/თავშესაფრები/სოციალური სასადილოები:** იცოდით, რომ ყოველ წელიწადს, ადამიანები დაახლოებით 1.3 მილიარდ ტონა საკვებს ყრიან? თქვენ შეგიძლიათ ხელმოკლე ადამიანების საკვებით მომარაგება უახლოესი საკვების ბანკების მეშვეობით. გაიღეთ საკვები, რომელიც დაგიგროვდათ პერსონალური

[5] არანაკლებ 30 გამოკითხული რესპონდენტი.
[6] სტატიად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის ტექსტი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს: (1) ტექსტის მოცულობა – მინიმუმი, 300 სიტყვა; (2) ექსკლუზიურობა; (3) აქტუალობა; (4) ეროვნული თემატიკა. მხატვრული ტექსტები არ მიიღება.

დღესასწაულების აღნიშვნის შედეგად, როგორიცაა: დაბადების დღე, სკოლის დამთავრება, ან სკოლის ღონისძიება.

- **გამოყავით ერთი დღე ადგილობრივ თავშესაფარში ადამიანების გამოსაკვებად:** იმუშავეთ მოხალისედ მეგობრებთან ერთად ადგილობრივ თავშესაფარში. ასე, თქვენ შეგიძლიათ შეაგროვოთ საკვები და დააპუროთ მშიერი. მეტიც - გახადეთ ეს თქვენი კლასის რეგულარულ საქმიანობად.

- **მოიყვანეთ საკვები საკუთარი ხელით**[7] - სკოლას, შესაძლოა, დამუშავებადი მიწის ნაკვეთი ჰქონდეს, რომელიც გამოუყენებელია. დაფიქრდით, რა კარგი იქნება სადემონსტრაციო ნაკვეთის, სათბურის, პატარა ბოსტნის მოწყობა! სასუქად კომპოსტი შეგიძლიათ გამოიყენოთ, რომელსაც მოსწავლეები სახლიდან წამოღებული და ეზოში მოგროვებული ორგანული ნარჩენებით დაამზადებთ, გაარკვიეთ, რა შესაძლებლობებია, მოამზადეთ პროექტი და დაიწყეთ პრაქტიკული განხორციელება.

თითოეული ღონისძიება 30 „ნერგის“ ტოლფასია!

„ნერგების“ მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 2.

[7] კომპლექსური ხასიათის აქტივობა ეკოკლუბმა უნდა დაიწყოს რამდენიმე დამოუკიდებელ ღონისძიებად: მაგ: (1) ნაკვეთის გამოყოფა და შეთანხმება სკოლის დირექციასთან, (2) ნაკვეთის დამუშავება, (3) დარგვა, (4) მოსავლის აღება და ა.შ.; თითოეული ღონისძიება შეფასდება ცალ-ცალკე.

3 ჯანსაღი ცხოვრება და კეთილდღეობა

კეთილდღეობა არის ცხოვრებით კმაყოფილების გრძნობა. ადამიანისთვის ეს მდგომარეობა მოიცავს ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და წარმატებას.

ჯანსაღი ცხოვრება გულისხმობს ადამიანზე ზრუნვას და ყველაფრის გაკეთებას, რაც შესაძლებელია მის დასაცავად დაავადებისა და ინტოქსიკაციისაგან. ეს ზრუნვა კი, ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

ყოველწლიურად **1 მილიარდი** აშშ დოლარი იხარჯება ვაქცინებზე, რასაც წელიწადში **1 მილიონი** ბავშვის გადარჩენა შეუძლია. 1990 წლიდან, ვაქცინების დამსახურებით, ყოველდღიურად **17,000** ბავშვით ნაკლები იღუპება; თუმცაღა, სამწუხაროდ, ყოველ წელს **6 მილიონზე** მეტი ბავშვი ჯერ კიდევ იღუპება მანამდე, სანამ მათ ხუთი წელი შეუსრულდებათ.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #3 მიზნის მისაღწევად?

განათლებას გადამწყვეტი როლი აქვს ადამიანების ცნობიერების ამაღლებაში ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარებისა და პრევენციის, ისევე როგორც მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. ის ასევე გვაწვდის შესაბამის ცოდნასა და ინფორმაციას რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე.

- **ისარგებლეთ ვაქცინაციით:** თავიდან აცილებადი დაავადებებით სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი ვაქცინაციის არარსებობა ან თავის არიდებაა. საჭირო ვაქცინის შესახებ ინფორმაციის მისაღებად დაუსვით კითხვა ექიმს, სკოლას, უნივერსიტეტს ან ეწვიეთ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ვებგვერდს.

- **გაიგეთ თუ რა უარყოფითი შედეგები აქვს ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მავნედ მოხმარებას:** თუ კი ახალგაზრდა დროულად გააცნობიერებს ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მავნედ მოხმარების უარყოფით შედეგებს, ის დროულად შეძლებს შეამციროს მათი მოხმარება. მოიპოვეთ საკმარისი ინფორმაცია აღნიშნული საკითხის შესახებ და საჭიროებისამებრ, დროულად ითხოვეთ დახმარება თქვენთვის ან თქვენი მეგობრისთვის.

- **შეამცირეთ რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მოძველებულ საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენებასთან.** ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა, ჰქონდეს ინფორმაცია არსებული რისკების შესახებ. გამოავლინეთ ადგილზე არსებული საფრთხეები, მოითხოვეთ ინფორმაცია და დაიცავით თქვენი და სხვისი კონსტიტუციური უფლება. დააკვირდით, ეს ამოცანა პირდაპირ კავშირშია ასევე მდგრადი განვითარების მე-16 მიზანთან.

- **შეამცირეთ ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ავადობა:** საერთაშორისო კვლევებით, საქართველო ერთ-ერთია იმ ქვეყნებიდან, სადაც ჰაერის დაბინძურების გამო ყველაზე მეტი ადამიანი იღუპება[8]. ამის მთავარი მიზეზი მოძველებული ავტოპარკია, რომელიც აბინძურებს ატმოსფერულ ჰაერს. ასევე უკიდურესად პრობლემურია მყარი საწვავის/შეშის გამოყენება სახლებსა და სკოლებში, რაც იწვევს ჰაერის დაბინძურებას საცხოვრებელ და სამუშაო სივრცეში.

- **შეამცირეთ არაჯანსაღი საკვების მოხმარება:** ყველაზე გავრცელებული და განსაკუთრებით საშიში დაავადების რისკები დაკავშირებულია არაჯანსაღი საკვები პროდუქტების მიღებასთან ან არასწორ და ჭარბ კვებასთან. საკვები პროდუქტების დამზადების, მიწოდებისა და მოხმარების კონტროლი მნიშვნელოვანი საშუალებაა ჯანმრთელობის რისკების ასარიდებლად.

[8] Energy and Air Pollution: World Energy Outlook Special Report 2016 (iiasa.ac.at); ANNEXE B&C Final_17162_World Health Statistics 2017 For Web-4.pdf (who.int); GBD Compare | IHME Viz Hub (healthdata.org);

ნიკო კვანტარაძის სასკოლო ჯრების 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოლოგიის მხატვრული

- **მართეთ საჭე პასუხისმგებლობით:** დაისახეთ ამოცანად საგზაო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა რიცხვის შემცირება. მართვის მოწმობის ქონა პრივილეგია და პასუხისმგებლობაა, შესაბამისად, დაემორჩილეთ საგზაო ნიშნებს და დაიცავით საგზაო მოძრაობის წესები. მართვისას არ გამოიყენოთ მობილური ტელეფონი და ნუ დაჯდებით საჭესთან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ. კლასში/სამუშაო ადგილზე ორგანიზება გაუკეთეთ საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებას, აღნიშნულ საკითხზე თანატოლების/კოლეგების ინფორმირების მიზნით.

  მოითხოვეთ გამართული ტრანსპორტი სასკოლო ექსკურსიების დაგეგმვის დროს. გაიკეთეთ ღვედი და სხვასაც მოსთხოვეთ იგივე. არ მოგერიდოთ მძღოლისთვის შენიშვნის მიცემა სიჩქარის გადაჭარბებაზე და დაუყოვნებლივ მოითხოვეთ საგზაო მოძრაობის წესების დაცვა.

- **დაიცავით უსაფრთხოების წესები წყლის ობიექტებსა და სხვა რეკრეაციულ (დასასვენებლ) ზონებში.** საქართველოში არსებულ სტიქიურ (თვითნებურად მოწყობილ) რეკრეაციულ ზონებში ყოველწლიურად ათეულობით ადამიანი, ძირითადად ბავშვები იღუპებიან. ხშირია უბედური შემთხვევები ექსკურსიებისა და ლაშქრობების დროს. მოითხოვეთ რეკრეაციასთან დაკავშირებული რისკების შეფასება და მსოფლიოში ადაპტირებული შემარბილებელი ზომების დანერგვა პასუხისმგებელი უწყებებისგან, თვითმმართველობისა და კერძო კომპანიებისგან.

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

- **ორგანიზება გაუკეთეთ სადისკუსიო წრეებს (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში):** დაავადებების მქონე ადამიანების სოციალური იზოლირება სხვადასხვა თემში გავრცელებული პრობლემაა. პრობლემა შეიძლება გადაიჭრას ღია დიალოგით.

  ეს ხელს შეუწყობს დაავადებული ადამიანების ინტეგრირებას და ოჯახის ან მეგობრების წრეში ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ გულახდილი საუბრების წამოწყებას. ამ საკითხზე დამატებითი კონსულტაციის მისაღებად შეგიძლიათ, მიმართოთ მრჩეველს სკოლაში, უნივერსიტეტში, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში. ეს უშუალო კავშირშია ფსიქიკურ დაავადებებთან გამკლავებასთან და აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასთან.

- **ჩაატარეთ კვლევა, მოამზადეთ სტატია / სტატიების ციკლი:**

  - ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ადგილობრივი პრობლემებისა (ჰაერის, წყლის, ნიადაგების, კვების პროდუქტების დაბინძურება) და შრომითი უსაფრთხოების შესახებ.
  - ადგილობრივად გავრცელებული დაავადებების, მათი პრევენციის არსებული მექანიზმებისა და საჭიროებების შესახებ;
  - რეკრეაციის, ლაშქრობებისა და ექსკურსიების უსაფრთხოების შესახებ. გამოიკვლიეთ კონკრეტული ფაქტები. დაიწყეთ ადვოკატირება სტიქიური რეკრეაციული ზონების შესწავლის, რეკომენდებული და აკრძალული ზონების იდენტიფიცირების, სათანადო ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ბანერების დამონტაჟების, სამაშველო სამსახურების გაძლიერებისა და რეკრეაციისათვის სათანადო უსაფრთხო პირობების შექმნის მიზნით.
  - წამოიწყეთ კამპანია სკოლაში ცურვის გაკვეთილების დანერგვისა და ამ მიზნით საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის.

- **გაიღეთ სისხლი[9]:** გაიგეთ, სად მდებარეობს სისხლის ჩაბარების ადგილობრივი პუნქტი. ამით თქვენ შეძლებთ დაეხმაროთ სისხლის ბანკებს საგანგებო სიტუაციების დროს ადამიანთა დასახმარებლად საჭირო სისხლის მარაგებით. ასევე, კარგი იქნება თუ კი სემესტრში ან წელიწადში ერთხელ ორგანიზებას გაუკეთებთ სისხლის ჩაბარების პუნქტს სკოლაში, უნივერსიტეტში ან სამუშაო ადგილზე.

- **დაეხმარეთ ადამიანებს, რომ მედიკამენტებზე თანაბარი წვდომა ჰქონდეთ:** ყველა ადამიანს არ აქვს თანაბარი წვდომა მედიკამენტებზე, განსაკუთრებით - სოფლებში. აწარმოეთ კამპანია, რომ გაიღოთ მედიკამენტები, რომლებიც მიეწოდება სოფლებს ან საგანგებო ვითარების მქონე რაიონებს. შეგიძლიათ ეწვიოთ კიდეც ამ რაიონებს და დაეხმაროთ მაცხოვრებლებს ჯანდაცვის საკვანძო საკითხებისა და ჰიგიენის შესახებ ცნობიერების ამაღლებით.

[9] ვის შეუძლია გახდეს სისხლის დონორი - არსებობს რამდენიმე მოთხოვნა, რასაც უნდა აკმაყოფილებდე: პირველ რიგში, აუცილებლად უნდა იყო სრულწლოვანი და იწონიდე მინიმუმ 50 კილოგრამს.

- **გაიგეთ მეტი, ზოონოზური დაავადებების შესახებ და იზრუნეთ ფერმერების ინფორ-მირებულობაზე.** ადამიანებსა და ცხოველებს დაავადებების 70% საერთო აქვთ. ამ დაავადებებს ზოონოზები ეწოდებათ.

  ცხოველიდან ადამიანზე გადამდები დაავადებები საფრთხეს უქმნიან ადამიანთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. საქართველოში გავრცელებულ ზოონოზურ დაავადებებს შორის, ყველაზე საშიშია: ჯილეხი, ბრუცელოზი და ცოფი.

  დაავადებების თავიდან ასაცილებლად და კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური გარემოს შესანარჩუნებლად - საქართველოში, ყოველწლიურად ხორციელდება ცხოველთა ვაქცინაცია და იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია. ეწვიეთ თქვენ ირგვლივ, ახლომდებარე ფერმებს, შეამოწმეთ იდენტიფიცირებული და ვაქცინირებული არიან თუ არა ცხოველები. ჰკითხეთ მათ მფლობელებს, აწარმოებენ თუ არა ჩანაწერებს ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეების შესახებ. იციან თუ არა, რა დაავადებებზეა მათი ცხოველები აცრილი და რა მიზანს ემსახურება ცხოველთა იდენტიფიკაცია-მიკვლევადობის სისტემა. რამდენჯერ მიდის ვეტერინარი წელიწადში და აქვთ თუ არა მისი საკონტაქტო ნომერი. რამდენად არის დაცული ფერმებში (შინა მეურნეობებში) ჰიგიენა, არის თუ არა საკმარისი ჰაერი და სისუფთავე სადგომში? რა ადგილზე წველიან პირუტყვს? იცავენ თუ არა ფერმერები ჰიგიენურ ნორმებს მოწველისას (დაწყება-პროცესი-დასრულება).

მოგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით:

- ჩაატარეთ ღია გაკვეთილი ზოონოზურ დაავადებებზე: ჯილეხი, ბრუცელოზი და ცოფი.
- გაატარეთ ერთი დღე ვეტერინართან ერთად და მოამზადეთ სტატიების ციკლი: ვეტერინართა საჭიროებების, საქმიანობისა და სირთულეების შესახებ.
- გაატარეთ ერთი დღე ფერმერთან - მოამზადეთ სტატიები, რომლებიც აღწერენ და ანალიზს უკეთებენ მათ საქმიანობას.



შენიშვნა: დავალების მხარდამჭერია FAO-ს *ცხოველთა იდენტიფიკაცია-ჰეგისტრაციის პროგრამა*. საკონკურსო წლის ბოლოს FAO გამოავლენს თავის რჩეულს.

თითოეული ღონისძიება 20 „ნერგის“ ტოლფასია!

„ნერგების“ მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 3.

ნიკო კვიხოველის სასკოლო ჯრემის 2024 - იმოქმედე ეკოლოგიისთვის / ეკოლოგიის მასალები

4 ხარისხიანი განათლება

განათლება არის ცოდნის, უნარების, ღირებულებების, შეხედულებებისა და ჩვევების შეძენა. ხარისხიანი განათლება უშუალოდ მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: შესაბამისი უნარების განვითარება, გენდერული თანასწორობა, შესაფერისი სასკოლო ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობის, საგანმანათლებლო მასალებისა და რესურსების, სტიპენდიების ან სასწავლო ძალის უზრუნველყოფა.

განვითარებად ქვეყნებში დაწყებით განათლებაში დარეგისტრირებულ ბავშვთა რაოდენობა **91%-ს** აღწევს. ამის და მიუხედავად, **57 მილიონი** ბავშვი ჯერაც სკოლის მიღმაა დარჩენილი. ამ ბავშვების **ნახევარზე მეტი** სუბსაჰარულ აფრიკაში ცხოვრობს. მათი **50%** კონფლიქტისგან დაზარალებულ ზონებში ცხოვრობს. **103 მილიონი** ახალგაზრდა, მსოფლიოს მასშტაბით, ჯერ კიდევ წერა-კითხვის უცოდინარია და მათი **60%-ზე** მეტი გოგოა.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #4 მიზნის მისაღწევად?

მე-4 მიზნისთვის მნიშვნელოვანია, რომ განათლებაზე ყველას ჰქონდეს წვდომა - დაწყებული საბაზისო დონიდან.

კონკრეტული ამოცანები მოიცავს: უკეთესი სამუშაო ადგილების შოვნის მიზნით, ტექნიკური და პროფესიული ტრენინგების უზრუნველყოფას; ქალებსა და კაცებს შორის განათლების შესაძლებლობებთან დაკავშირებული უთანასწორობის დასრულებას; შესაბამისი განათლების უზრუნველყოფას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის, მკვიდრი მოსახლეობისა და კონფლიქტით ან ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული კატასტროფებით დაზარალებული პირებისათვის; სასკოლო დაწესებულებების უფრო უსაფრთხო და პოზიტიურ გარემოდ გარდაქმნას; კვალიფიციური მასწავლებლების რაოდენობის გაზრდას და განათლების ხელშეწყობას მდგრადი განვითარებისთვის.

რისი მიღწევა გვსურს?

- **12-წლიანი განათლება უზრუნველყოფილი იყოს ყველა ბავშვისთვის.**
- წერა-კითხვის შესწავლა შეეძლოს **ყველა ახალგაზრდას.**
- **ყველას მიუწვდებოდეს ხელი განათლების სხვადასხვა საფეხურზე.**
- ხარისხიან განათლებას მოსდევდეს **დასაქმების შესაძლებლობა.**
- **ყველას ჰქონდეს უფლება, მიიღოს ხელმისაწვდომი და ხარისხიანი** ტექნიკური განათლება, უნივერსიტეტის ჩათვლით.
- იცოდნენ **მოსწავლეებმა** თუ რა არის **მდგრადი ცხოვრების წესი.**
- **შევქმნათ სასწავლო გარემო, რომელიც უსაფრთხოა ყველასათვის, არაძალადობრივი, ინკლუზიური და ეფექტიანია.**

თუ მიეკუთვნებით იმ ახალგაზრდების რიცხვს, რომელთაც აქვთ ან ჰქონდათ შესაძლებლობა, ევლოთ სკოლაში, **თქვენ გაგიმართლათ!**

ძალიან ბევრი მიზეზი არსებობს, თუ რატომ ანებებენ თავს სწავლას ახალგაზრდები და ბავშვები. კონფლიქტებმა და ბუნებრივმა კატასტროფებმა შეაფერხეს 75 მილიონი ბავშვის საგანმანათლებლო პროცესი. ამას გარდა, მსოფლიოში 5-დან 10 წლამდე ასაკის 168 მილიონი ბავშვი შრომაშია ჩართული, რის გამოც ისინი იძულებული ხდებიან სკოლაში სიარული შეწყვიტონ.

რით დავიწყოთ?

- **გახდით რეპეტიტორი ან დაეხმარეთ სხვებს საშინაო დავალების მომზადებაში:** გამოყავით კვირაში 1-2 საათი, რომ სწავლაში დაეხმაროთ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც არ აქვთ წვდომა განათლებაზე, ან არ აქვთ საკმარისი სახსრები რეპეტიტორის დასაქირავებლად.

- **ასწავლეთ ინგლისური:** გახდით მოხალისე არასამთავრობო ორგანიზაციაში ან იმუშავეთ დამოუკიდებლად, რომ ინგლისური ენის სწავლა ხელმისაწვდომი გახდეს ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისათვის, რომელთაც ეს შესაძლებლობა აქამდე არ ჰქონიათ. გლობალიზებულ სამყაროში ინგლისური ენის თავისუფლად ფლობა ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი უნარია.

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

- დაიცავით თქვენი და თანატოლების უფლება ხარისხიანი განათლების შესახებ. არსებობენ სკოლები და ეკოკლუბები, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეუძლიათ სრულფასოვნად ისარგებლონ ონლაინ ინსტრუმენტების სიკეთეებით. მოძებნეთ თქვენს თემში სკოლები ან ჯგუფები, რომლებიც დამატებით ყურადღებას საჭიროებენ.

  მნიშვნელოვანია, რომ საგანგებო ვითარებაში არ დაირღვეს მათი უფლება ხარისხიანი განათლების მიღების შესახებ. მოგვწერეთ პრობლემის აღწერა და მიგვითითეთ, რაში ხედავთ გამოსავალს. მოამზადეთ სტატია, სადაც შემოგვთავაზებთ პრობლემის გადაწყვეტის თქვენეულ ვერსიას (არანაკლებ, 100 სიტყვა) და გამოგვიგზავნეთ პორტალის საშუალებით.

- წამოიწყეთ ონლაინ კამპანია, სადაც ისაუბრებთ განათლების მნიშვნელობის შესახებ: მსოფლიოში უამრავი ახალგაზრდაა, რომლებსაც არ აქვთ წვდომა განათლებაზე ან სხვადასხვა მიზეზით მიატოვეს სწავლა. წამოიწყეთ კამპანია იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ყველა ბიჭისა და გოგოსათვის მიიღოს 12-წლიანი განათლება და რაც შეიძლება მეტმა მშობელმა შეიტყოს აღნიშნული პრობლემის შესახებ.

- სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად შექმენით სკოლის მეგობართა კლუბი და დააფუძნეთ სკოლის განვითარების სათემო ფონდი, რომელიც მოემსახურება სწავლის პირობების გაუმჯობესებას, დააწესებს სტიპენდიებს წარმატებული მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, ხელს შეუწყობს სკოლაში სხვადასხვა კლუბის შექმნას და კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევას, გააუმჯობესებს სკოლის ინფრასტრუქტურას და უსაფრთხოების სტანდარტებს, დანერგავს ჯანსაღ, სრულფასოვან და ხელმისაწვდომ კვებას სკოლაში.

- გააჩუქეთ წიგნები: მოაწყვეთ საკლასო ბაზრობა და შეაგროვეთ სახელმძღვანელოები. შეგროვებული წიგნები აჩუქეთ იმ ბავშვებს, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი სახსრები მათ შესაძენად.

- ორგანიზება გაუკეთეთ თანხის შესაგროვებელ აქციას სკოლაში (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში): ბევრი სკოლა ბავშვებზე სტიპენდიებსა და სუბსიდიებს გასცემს. შეაგროვეთ ფული საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზებით და დაეხმარეთ სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს მიიღონ განათლება.

- მოაწყვეთ სემინარები და გააზიარეთ თქვენი ცოდნა, რათა სხვებსაც ასწავლოთ (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში): ბევრი რამ შეგიძლიათ ისწავლოთ თქვენი მეგობრებისა და თანატოლებისგან. თუ უფროსკლასელი ან უნივერსიტეტის სტუდენტი ხართ, დაგეგმეთ რამდენიმე კლასგარეშე მეცადინეობა, რომლებზეც თანაკლასელებს/თანაკურსელებს თქვენს ცოდნას გაუზიარებთ. ამ მიზნით ასევე შეგიძლიათ შეხვდეთ სხვა სკოლების მოსწავლეებს/უნივერსიტეტების სტუდენტებს/ახალგაზრდებს.

- მოაწყვეთ ღონისძიებები (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში) სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რომ შეიძინოთ შესაბამისი პროფესიული და სოციალური უნარები: მოიწვიეთ სპეციალისტები და სთხოვეთ ისაუბრონ თავიანთ პროფესიებზე და მოთხოვნად უნარებზე. ამ ცოდნის მისაღებად ასევე შეგიძლიათ, ჩაატაროთ ღონისძიებები სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისათვის.

- ჩაატარეთ გაკვეთილები მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში): იმისათვის, რომ უფრო მეტ ახალგაზრდას აუმაღლოთ მდგრადი ცხოვრების წესის შესახებ ცნობიერების დონე, გაავრცელეთ კონკურსის წინამდებარე გზამკვლევი თქვენს მეგობრებსა და ოჯახის წევრებში; ჩაატარეთ გაკვეთილი ან საგანმანათლებლო სესია მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ. შეგიძლიათ, გამოიყენოთ World's Largest Lesson-ის გაკვეთილები - სპეციალურად შექმნილი ახალგაზრდებისათვის.

- მოუყევით მეგობარ სკოლებს ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის შესახებ (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში): - დაეხმარეთ მათ, შექმნან ეკოკლუბი და ჩაერთონ პროექტში. კარგი იქნება, თუ ყურადღებას გაამახვილებთ ისეთ სკოლებსა და ცენტრებზე, რომლებსაც ნაკლები შესაძლებლობები აქვთ და თქვენი ყურადღება მეტად სჭირდებათ.

- შეაჩერეთ ბულინგი: საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა იყოს უსაფრთხო მოსწავლეთა ემოციური და ფიზიკური კეთილდღეობისათვის. აუცილებლად ამხილეთ მჩაგვრელები და დარწმუნდით, რომ თქვენს კლასში არსებობს სივრცე გულახდილი საუბრებისათვის.

- მიმართეთ თქვენს სკოლას პეტიციით, რომ ჰქონდეს ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა: სამწუხაროდ, დღეს ყველა სკოლა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის.

შედეგად კი, შშმ ახალგაზრდები ხშირად იზოლირებულნი არიან და ვერ ურთიერთობენ თანატოლებთან. მოამზადეთ პეტიცია თქვენს და სხვა კლასებთან ერთად, რომ მოეწყოს პანდუსები და ინკლუზიური გარემოსათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურა. ასევე უმნიშვნელოვანესია სკოლაში იყოს სუფთა სასმელი წყლის, ჰიგიენისა და სანიტარიის დაცვისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. თუ თვლით, რომ სკოლაში აღნიშნული შესაძლებლობა არ არის, სკოლის დირექციას და/ან განათლების სამინისტროს გაუგზავნეთ აღნიშნულ თემაზე მომზადებული პეტიცია.

- მოამზადეთ რეკომენდაციები არაფორმალურ საგანმანათლებლო ინიციატივებზე მომუშავე ორგანიზაციებისათვის (CENN - კეცხოველის პრემიის გუნდი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრი): რას შეცვლიდით არსებულ პროგრამებში? დაწერეთ რეკომენდაციების შესახებ წერილი და გაუზიარეთ იგი საკონტაქტო პირებს.

- იმუშავეთ მოხალისედ საბავშვო ბაღში: მიიღეთ მონაწილეობა მცირეწლოვანი ბავშვების განვითარების პროცესში.

- მონაწილეობა მიიღეთ პროგრამა GLOBE-ში. CENN საერთაშორისო სამეცნიერო პროგრამის GLOBE-ის წარმომადგენელი გახდა საქართველოში. პროგრამის ოფიციალური დაწყება forestry.ge-ზე გამოქვეყნდება.

- ჩაატარეთ თავისუფალი გაკვეთილები (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში): - გამოიყენეთ თავისუფალი გაკვეთილების სახელმძღვანელოები: „აღმოაჩინე საქართველო“, „ნარჩენების მართვა“ და „ეკოლობი“ (დაფინანსების გარეშე).

თითოეული ღონისძიება 30 „ნერგის“ ტოლფასია!

ეს არის მაქსიმალური შეფასება. წარმოდგენილი დამადასტურებელი მასალების ხარისხის მიხედვით, აქტივობა შეიძლება შეფასდეს უფრო ნაკლები „ნერგით“. ამასთან დაკავშირებულ არგუმენტირებულ განმარტებას მიიღებთ პროფილის შესაბამის ველში.

„ნერგების“ მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 4.

5 გენდერული თანასწორობა

გენდერული თანასწორობა არის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, საჭიროა ყველა ქალსა და კაცს მოვექცეთ თანასწორად. მათ უნდა ჰქონდეთ ერთნაირი უფლებები, მიუხედავად მათი ბიოლოგიური განსხვავებებისა. თანასწორობა მათ თანაბარ შესაძლებლობებს მისცემთ ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #5 მიზნის მისაღწევად?

ხარისხიანი, გენდერულად მგრძნობიარე განათლება ხელს უწყობს ქალებისა და გოგონების მონაწილეობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საჯარო სფეროებში. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი ხმა გაგონილი იქნება და მიიღებენ სრული მონაწილეობის შესაძლებლობას. დამატებით ამას წვლილი შეაქვს ისეთი მანკიერი პრაქტიკებისა და ტრადიციების დასრულებაში, რომლებიც ასუსტებენ ქალებისა და გოგონების ფიზიკურ, მენტალურ და სექსუალურ ჯანმრთელობას.

რისი მიღწევა გვსურს?

აღნიშნული პრობლემა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად ვლინდება, თუმცა ფაქტია, რომ 150-ზე მეტ ქვეყანაში, სულ მცირე, ერთი კანონი ქალების მიმართ დისკრიმინაციულია (წყარო: მსოფლიო ბანკი). დააკვირდით ქვეყნის მთავრობას, ბიზნეს-ელიტას ან ავტორიტეტულ ადამიანებს. რამდენი მათგანია ქალი? 10%? 20%? ერთად აღებულ ყველა დარგში ქალებს აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობების საშუალოდ 9% უკავიათ. ხომ არ ფიქრობთ, რომ დროა, ეს შეიცვალოს?

რისი მიღწევა გვსურს?

- **დასრულდეს** გენდერული ნიშნით **დისკრიმინაცია.**
- **დასრულდეს** ქალთა მიმართ ძალადობა.
- ქალებს თანაბარი წვდომა ჰქონდეთ **ლიდერულ პოზიციებსა და რესურსებზე.**
- დასრულდეს **ბავშვთა ქორწინებები და ქალთა დასახიჩრება.**
- გაიზარდოს **ქალთა წვდომა საინფორმაციო ტექნოლოგიებზე.**
- უზრუნველყოფილ იქნეს წვდომა **რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე.**

რით დავიწყოთ?

- **აიმაღლეთ ხმა საფრთხეში მყოფი ქალების დასაცავად:** ამხილეთ მჩაგვრელები თქვენს კლასში, სამსახურში და ოჯახშიც კი მაშინ, როცა ისინი გამოხატავენ გენდერულ დისკრიმინაციას ვერბალურად ან ქმედებით. თუ კი თქვენს ან მეგობრის ჯანმრთელობას და კეთილდღეობას საფრთხე ემუქრება, განაცხადეთ ამის შესახებ სკოლის ხელმძღვანელობასთან.

ნიკო კეცხოველის სასკოლო ჯრემის 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოსალუბის ბაბაკვლევი

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

- **ორგანიზება გაუკეთეთ გოგოებისათვის კარიერის დაგეგმვის სივრცეს (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში):** შეგიძლიათ შექმნათ დიალოგის პლატფორმა და სასაუბრო სივრცე კარიერის არჩევის თაობაზე. აქ თქვენ შეგიძლიათ დაამსხვრიოთ სტერეოტიპული აზროვნება გოგონებისთვის შესაფერისი კარიერების შესახებ. მოიწვიეთ შთაგონების მომცემი წარმატებული ბიზნესმენი და მეწარმე ქალები, რომლებიც ისაუბრებენ თავიანთი კარიერის შესახებ.

- **აამაღლეთ ცნობიერების დონე გენდერული საკითხების შესახებ:** შეგიძლიათ, დაწეროთ ბლოგ-პოსტი თქვენი პირადი გამოცდილების შესახებ, შეუერთდეთ კამპანიებს სოციალურ მედიაში, მოაწყოთ გენდერული თანასწორობისადმი მიძღვნილი ღონისძიება კლასში ან სკოლაში.

- **ჩაატარეთ თაობათაშორისი დიალოგი გენდერული როლებისა და ნორმების თემაზე:** რეგულარულად ესაუბრეთ ოჯახის წევრებს განაწილებული გენდერული როლების შესახებ. შექმენით ონლაინპლატფორმა, სადაც სხვადასხვა თაობის ადამიანები ისაუბრებენ გენდერული ცრურწმენების შესახებ, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებით.

- **გაანათლეთ ქალები და გოგონები ტექნოლოგიების შესახებ:** შეგიძლიათ, დაიწყოთ თქვენი თავისა და თქვენი ოჯახის წევრების განათლებით. ისწავლეთ და ასწავლეთ თუ როგორ გამოიყენოთ კომპიუტერი და ინტერნეტი. გაიარეთ ონლაინ გაკვეთილები კოდირებაში, დიზაინში, და სხვა. ამის შემდეგ შეგიძლიათ, გახდეთ მოხალისე რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციაში, იმუშაოთ ცუდ პირობებში მყოფ გოგონებთან და მოამზადოთ საინფორმაციო ტექნოლოგიებში.

- **გაანათლეთ საკუთარი თავი და სხვები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ჰიგიენის შესახებ:** ისაუბრეთ მშობლებთან ან სკოლის მრჩეველთან რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. გახდით მოხალისე რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციაში, იმისათვის, რომ მეტი გოგონა გაანათლოთ აღნიშნულ საკითხებზე, განსაკუთრებით - ცენტრისგან დაშორებულ სოფლებში.

- **გაანათლეთ გოგონები მათი უფლებების შესახებ, იმისათვის, რომ აღიკვეთოს ბავშვთა ქორწინება:** ბავშვთა ქორწინების პრობლემა საკმარისად არ შუქდება. თქვენ შეგიძლიათ, მხარი დაუჭირეთ აღნიშნული პრობლემის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიებს თქვენს თემში ან მოხალისეობრივ საწყისებზე გაანათლოთ გოგონები მათი უფლებებისა და ადრეული ქორწინების საფრთხეების შესახებ.

- **შეისწავლეთ, რას ფიქრობენ თქვენს თემში გენდერულ თანასწორობაზე** - როგორ ფიქრობთ, სწორად ესმით მეზობლებს, ნათესავებსა თუ თანასკოლელებს გენდერული თანასწორობის არსი? ამ საკითხზე კვლევის ჩატარებაში CENN-ის პროექტის - **ტყის მდგარდი მართვა საქართველოში** ფარგლებში მომზადებული **საგანგებო კითხვარი** დაგეხმარებათ.

თითოეული ღონისძიება 30 „ნერგის“ ტოლფასია! „ნერგების“ მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 5.

6 სუფთა წყალი და სანიტარია

წყალი სიცოცხლისათვის აუცილებელია. ის ადამიანის სხეულის 65%-სა და მცენარეების სტრუქტურის 90%-ს შეადგენს. შესაბამისად, წყლის შეზღუდვის შემთხვევაში, ვერც ერთი ცოცხალი არსება ვერ იარსებებს დიდი ხნის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, არსებობის ეს ფუნდამენტური ელემენტი სერიოზული საფრთხის ქვეშაა მდინარეების დაბინძურების გამო, მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონს იგი სულაც არ მიეწოდება და ამის მოგვარებაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

1990 წლის შემდეგ **2.6 მილიარდმა** ადამიანმა მოიპოვა წვდომა სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროებზე, მაგრამ **663** მილიონ ადამიანს ჯერ კიდევ არ აქვს სუფთა წყალზე წვდომა. წყლის დეფიციტი აწუხებს მსოფლიო მოსახლეობის **40%**-ზე მეტს და ეს რიცხვი თანდათან იზრდება. ჩამდინარე წყლების **80%**-ზე მეტი, რომელიც ადამიანების აქტივობების შედეგია, მდინარეებში ან ზღვაში ჩაედინება ყოველგვარი გაწმენდის გარეშე. ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად გამოწვეული სიკვდილიანობის **70%** წყალდიდობებსა და წყალთან დაკავშირებულ სხვა კატასტროფებზე მოდის.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #6 მიზნის მისაღწევად?

წყლის ხარისხის მონიტორინგისა და დაბინძურების შესამცირებლად საჭიროა ამომწურავი განათლება წყლის შესახებ.

განათლებულ საზოგადოებას შეუძლია გააუმჯობესოს წყლის მოხმარება ხელახალი მოხმარებისთვის საჭირო რესურსების მოძიებით. განათლებას დიდი წვლილი შეაქვს ადამიანებს შორის ცნობიერების ამაღლებაში და ასწავლის მათ, თუ როგორ შეასრულონ საკუთარი როლი წყლის მოხმარების მართვაში.

რისი მიღწევა გვსურს?

- გაუმჯობესდეს წყლის ხარისხი.
- ყველას ჰქონდეს წვდომა სუფთა წყალზე.
- ყველას ჰქონდეს წვდომა ტუალეტსა და ჰიგიენის ძირითად საშუალებებზე.
- წყლის არც ერთი წვეთი არ დაიხარჯოს უმიზნოდ.
- უზრუნველყოფილი იყოს მდინარეებისა და მათი წყალშემკრები აუზების, ტყეების, ტბებისა და ჭაობების, ზღვებისა და ოკეანეების ეკოსისტემების შენარჩუნება და აღდგენა.

იცით თუ არა, რატომ არის ეს ასეთი მნიშვნელოვანი?

750 მილიონ ადამიანზე მეტს არ აქვს სასმელად ვარგის წყალთან საკმარისი წვდომა. თანაც, ჩვენ ხომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რესურსზე გვაქვს საუბარი. წყალი ფუფუნების საგანს არ უნდა წარმოადგენდეს და ის ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ისევე როგორც ჰიგიენის ძირითადი საშუალებები.

საიდან შეგიძლიათ დაიწყოთ?

- **შეწყვიტეთ ზედმეტი წყლის გამოყენება:** პასუხისმგებლობით მოეპყარით წყლის მოხმარებას: დარწმუნდით, რომ ჭურჭლის გარეცხვის შემდეგ ონკანს ღიად არ ტოვებთ. ასევე, გაითვალისწინეთ, რომ სწრაფი შხაპიც შეიძლება სასიამოვნო იყოს. დაფიქრდით, იქნებ მრიცხველის დაყენება წყლის მოხმარების კონტროლისთვის მშვენიერი იდეაა.

ნიკო კვახოფველის სასკოლო ალმანახი 2024 - ეფექტიანი ელექტრონული / ეკოლოგიის მასალა

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

- **წამოიწყეთ კამპანია ჰიგიენის შესახებ (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში):** სოციალურ მედიაში, სკოლასა თუ უნივერსიტეტში ან თუნდაც თქვენს სამეზობლოში დაიწყეთ ცნობიერების ამაღლების კამპანია ჰიგიენასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

- **გაავრცელეთ ინფორმაცია წყლის უმიზნოდ ხარჯვაზე:** კლასში ჩაატარეთ ტესტი, თუ რა რაოდენობის წყლის დაზოგვა შეიძლებოდა წყლის რაციონალურად მოხმარების შემთხვევაში და წარუდგინეთ შედეგები თანაკლასელებს. მოუწოდეთ სკოლას და პარტნიორ ორგანიზაციებს, მხარი დაგიჭირონ ამ წამოწყებაში, ხოლო მიღებული შედეგები წყლის უკეთ მართვისთვის გამოიყენეთ.

- **განახორციელეთ კვლევა და მოამზადეთ სტატია / ანგარიში** თქვენს სკოლასა და თემში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებზე. კვლევაში დაგეხმარებათ CENN-ის მიერ საგანგებოდ მომზადებული კითხვარები და გზამკვლევები.

- **ურჩიეთ თქვენს კლასელებს, მიიღონ სასმელი წყლის დღიური ნორმა,** მათ შორის - გაკვეთილების დროს. მოიძიეთ სათანადო ინფორმაცია და წამოიწყეთ კამპანია სკოლის ან უფრო ფართო მასშტაბით.

- **მოაწყვეთ მდინარის დასუფთავების აქცია:** მოუწოდეთ თანაკლასელებს ან ოჯახის წევრებს, რომ ახლომდებარე მდინარის დასუფთავებაში დაგეხმარონ. გაავრცელეთ ეს აქცია სკოლასა თუ უნივერსიტეტში ან თუნდაც თქვენს სამეზობლოში.

- **დაიცავით მდინარის ნაპირები ეროზიისაგან:** შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შესაბამის უწყებებს, მათთან შეთანხმებით მოამზადოთ პროექტი და მდინარის სანაპიროებზე დარგოთ ხეები. ეს ნალექებისა და დამბინძურებლების გაფილტვრას უწყობს ხელს. **მკაცრად დაიცავით უსაფრთხოების ნორმები მსგავსი ინიციატივების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ნებისმიერი არასწორი მიახლოება მდინარის ეროზირებულ ნაპირთან შეიძლება სიცოცხლისთვის საშიში აღმოჩნდეს.**

- **მიმართეთ თქვენს სკოლას პეტიციით, ჰქონდეს ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა:** უმნიშვნელოვანესია სკოლაში სუფთა სასმელი წყლის, ჰიგიენისა და სანიტარიის დაცვისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. თუ თვლით, რომ სკოლაში აღნიშნული შესაძლებლობა არ არის, მოამზადეთ და სკოლის დირექციას და/ან განათლების სამინისტროს გაუგზავნეთ აღნიშნულ თემაზე მომზადებული პეტიცია.

თითოეული ღონისძიება 30 „ნერგის“ ტოლფასია!

„ნერგების“ მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 6.

ნიკო კვეხოველის სასკოლო ჯრების 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოკლუბის გზამკვლევი

7 ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია

განახლებად ენერგიას შეუძლია განახლდეს ან ბუნებრივად აღდგეს. მისი გამოყენება შესაძლებელია უვადოდ, მაშინ როცა არაგანახლებადი ენერგია იღებს სათავეს ისეთი წყაროებიდან, რომლებიც შეიძლება ამოიწუროს.

მსოფლიოში **ხუთიდან ერთ** ადამიანს შეზღუდული წვდომა აქვს ელექტროენერგიაზე. ენერგიას ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს კლიმატის ცვლილებაში და სათბურის აირების დაახლოებით **60%**-ს გამოყოფს. **3 მილიარდი** ადამიანი იყენებს შეშას, ქვანახშირს, ხის ნახშირს ან ცხოველურ ნარჩენს საკვების მოსამზადებლად ან გასათბობად.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #7 მიზნის მისაღწევად?

განათლება ენერგიის შესახებ ხელს უწყობს ენერგოეფექტიანობას. იგი გვასწავლის ისეთი ტექნოლოგიების განვითარებას, რომლებიც ხარჯავენ ნაკლებ ენერგიას და გვიბიძგებენ ერთად მუშაობისკენ, რომ შევისწავლოთ და განვავითაროთ განახლებადი და სხვა მდგრადი ენერგიის რესურსები.

რისი მიღწევა გვსურს?

- **ყველას** ჰქონდეს წვდომა ენერგიაზე.
- გავაორმაგოთ **ენერგოეფექტიანობა.**
- გავაუმჯობესოთ **ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგია,** რომ ენერგია ყველასათვის იყოს ხელმისაწვდომი.
- გავზარდოთ **განახლებადი ენერგიის** გამოყენება.

ენერგოსექტორში მიმდინარე ინოვაციური პროცესების მიუხედავად, მსოფლიოში გამოყენებული ენერგიის მხოლოდ 6%-ია განახლებადი წყაროებიდან წარმოქმნილი. ამიტომაც, სწორედ ახალგაზრდები უნდა ჩაერთონ აქტიურად განახლებადი ენერგიის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში.

რისი გაკეთება შეგიძლიათ?

- გამოიყენეთ ეკონომიური ნათურები, შეზღუდეთ ცხელი წყლის მოხმარება - ეს მინიმუმამდე დაიყვანეს **ენერგიის უქმად ხარჯვას.**

- **ჩააქრეთ შუქი მაშინ, როცა არ გჭირდებათ.** ეს ენერგიის დაზოგვას შეუწყობს ხელს.

- **ასწავლეთ თქვენს ოჯახს, თუ როგორ არ გაფლანგონ ენერგია:** სთხოვეთ მშობლებს, რომ ხშირად შეამოწმონ ქვითარი და დააკვირდნენ, თანდათან როგორ მცირდება ენერგიის მოხმარება და გადასახადი.

- **მოერიდეთ ერთდროულად რამდენიმე მოწყობილობის გამოყენებას:** მოწყობილობებისა და აპლიკაციების ერთმანეთზე დამოკიდებულება გვაიძულებს, რომ რამდენიმე მათგანი ერთად გამოვიყენოთ ხოლმე. გამოიჩინეთ ყურადღება და ის მოწყობილობა გამოიყენეთ, რომელიც იმ მომენტში ნამდვილად გჭირდებათ. წარმოიდგინეთ, რამდენ ენერგიას მოიხმართ ყოველ ღამე ტელეფონისა და ლეპტოპის დატენვის დროს, თანაც რატომ? კიდევ ერთხელ რომ ჩამოუაროთ სოციალურ ქსელებს?

ნიკო კვეხოველის სასკოლო ჯრების 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოლუბის გზაკვლევი

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

- **მოაწყვეთ კონკურსი მდგრად ენერგიაზე სკოლაში (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში):** შეარჩიეთ საუკეთესო პროექტი/კვლევითი ნაშრომი განახლებად ენერგიაზე.

- **გაავრცელეთ ინფორმაცია მდგრად ენერგიაზე:** ახალგაზრდა ინოვატორთა ძირითადი როლი ისაა, რომ საზოგადოებაში გაავრცელონ ინფორმაცია და აამაღლონ ცნობიერება ენერგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მოაწყვეთ კამპანია მდგრადი ენერგიის დაცვის მიზნით. დაეხმარეთ ადგილობრივ საზოგადოებას, რომ ადაპტაციის პროცესი მარტივად გაიაროს. ახალგაზრდები ყველაზე უკეთ ეგუებიან ცვლილებებს: ჩვენ სხვებისთვის მაგალითები უნდა გავხდეთ, თუ როგორ ვიყენებთ ახალი სახის ენერგიას და რა გზებს ვირჩევთ ენერგონარჩენების მართვისთვის. დაიწყეთ საკუთარი ოჯახით და შემდეგ ინფორმაცია გაავრცელეთ თქვენს სამეზობლოსა და სანაცნობოში.

- **დაეხმარეთ მათ, ვისაც ენერგიის წყაროებზე წვდომა არ აქვს:** დღეს სამ მილიარდამდე ადამიანი საკვების მომზადებისა და გათბობისათვის კვლავ შეშას, ქვანახშირს, ხის ნახშირს ან ცხოველურ ნარჩენებს იყენებს. ხშირად კი ეს საარსებო საშუალებაც არ აქვს, რის გამოც შეიძლება სიცოცხლის რისკის წინაშეც აღმოჩნდეს. თუ ასეთი ადამიანები არიან თქვენს თემშიც, გაეცანით მოხალისეობრივ შესაძლებლობებს მათ დასახმარებლად.

- **გაიგეთ, ენერგიის რომელ წყაროზეა დამოკიდებული თქვენი ქალაქი / სოფელი:** იცოდით, რომ საქართველოში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მიერ შეშაზე მაღალი მოთხოვნილების გამო ტყის საფარსა და ბიომრავალფეროვნებას საფრთხე ექმნება? CENN-ის კითხვარების და საინფორმაციო მასალების დახმარებით ჩაატარეთ კვლევები ტყეების მდგომარეობასა და შეშის გამოყენების ადგილობრივ პრაქტიკაზე. დამხმარე ლიტერატურის გამოყენებით ჩაატარეთ ტრენინგები შეშის მდგრადი და უსაფრთხო მოპოვების, შენახვისა და მოხმარების შესახებ; გააცანით სკოლას და თემს კონკრეტული ენერგოგადაწყვეტილებები სოფლად; გაუწიეთ პოპულარიზაცია ენერგოეფექტიან ღუმელებს შეშის მოხმარების შესამცირებლად.

- **გაიგეთ, რა სიახლეებს გვთავაზობს** **საქართველოს ტყის კოდექსი.** სატყეო დარგში არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ 2021 წლიდან ამოქმედდება ტყის ახალი კოდექსი, რომელიც შეშით მომარაგების განსხვავებულ სქემას გვთავაზობს და სხვა დადებით ეფექტებთან ერთად, უკანონო ჭრებსაც შეამცირებს. მოამზადეთ სემინარი ან საინფორმაციო კამპანია სკოლის მოსწავლეების, მშობლების ან სოფლის მოსახლეობისათვის ტყის კოდექსის სიახლეების გასაცნობად.

Photo: Nika Tabatadze

- **უარი თქვით ენერგიის მძლავრი მოხმარების მქონე კერძო სატრანსპორტო საშუალებებზე:** დაგეგმეთ თქვენი საქმიანობა და კამპანია ისე, რომ საზოგადოებამ შეძლოს გამართული მუნიციპალური ან კერძო საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა, გამოიყენოს ველოსიპედი და უფრო მეტი იაროს ფეხით, როცა ეს შესაძლებელია; იყიდეთ ადგილობრივი პროდუქტები, როცა ამის ალტერნატივა არსებობს, რადგან პროდუქტის ტრანსპორტირებას უზარმაზარი ენერგია სჭირდება.

- **აღწერეთ** თქვენს სკოლასა და თემში გამოყენებული **ნათურები და ქუჩის განათების სისტემები** ენერგოეფექტიანობის თვალსაზრისით.

- **ჩაატარეთ კვლევა, მოამზადეთ ანგარიში, დანერგეთ სასარგებლო რჩევები თქვენს ოჯახში,** ამობეჭდეთ რეკომენდაციები და გაავრცელეთ თქვენ გარშემო; დაგეგმეთ პრაქტიკული სავარჯიშოები და შეეცადეთ მოძიებული ლიტერატურული მასალები საკუთარი გამოცდილებით შეავსოთ; მოამზადეთ და ჩაატარეთ პრეზენტაცია, ტრენინგი ან გადამზადების მოკლე კურსი ენერგოეფექტიანობისა და განახლებადი ენერგიების გამოყენების საყოფაცხოვრებო მეთოდებზე შემდეგი მიმართულებებით:

    - სახლის დათბუნება;
    - ენერგიის დაზოგვა;
    - სახლის განათება;
    - ენერგოდამზოგავი საშუალებები.

თითოეული ღონისძიება 20 „ნერგის“ ტოლფასია!

„ნერგების“ მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 7.

ნიკო კვიხოველის სასკოლო ჯრების 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოკლუბის ბუკლეტი

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

ღირსეული სამუშაო არის სამუშაო, სადაც დასაქმებულისთვის შექმნილია უსაფრთხო პირობები, სადაც მას შეუძლია მიიღოს სამართლიანი ანაზღაურება და უზრუნველყოს სოციალური დაცვა საკუთარი ოჯახისათვის. ღირსეული სამუშაო გვაძლევს განვითარების საშუალებას პროფესიულ ჭრილში, ხელს უწყობს იმას, რომ სამუშაო ადგილზე ჩვენი ესმოდეთ, აძლევს თანაბარ შესაძლებლობებს ქალებსა და კაცებს.

უმუშევართა რიცხვი **2012** წელს **170 მილიონი** იყო, რაც 2017 წელს **202** მილიონამდე გაიზარდა, მათგან **75 მილიონი** ახალგაზრდა ქალები და კაცები არიან. სიღარიბის აღმოფხვრა მხოლოდ სტაბილური და კარგად ანაზღაურებადი სამუშაო ადგილების დახმარებით არის შესაძლებელი, თუმცა დაახლოებით **2.2 მილიარდი** ადამიანი ცხოვრობს სიღარიბის 2 დოლარიანი ზღვრის ქვემოთ. 2016-2030 წლებში შრომის ბაზარზე ახალშემოსული ადამიანებისათვის **470 მილიონი** სამუშაო ადგილია საჭირო.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #8 მიზნის მისაღწევად?

ტექნიკური და პროფესიული განათლება და ტრენინგი მიზნად ისახავს უმუშევარი ახალგაზრდების რიცხვის შემცირებას. ხარისხიანი განათლება ასევე ამაღლებს ცნობიერებას იძულებით და ბავშვთა შრომასთან დაკავშირებით და გვეხმარება მათ აღმოფხვრასა და პრევენციაში.

რისი მიღწევა გვსურს?

- სრული დასაქმება და სამართლიანი ანაზღაურება.
- განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის, სულ მცირე, 7%-იანი წლიური ზრდა.
- დასრულდეს იძულებითი შრომა და მონობა.
- დავიცვათ შრომის უფლებების და ხელი შევუწყოთ დაცულ სამუშაო გარემოს შექმნას.
- ხელი შევუწყოთ ახალგაზრდებს დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუ-შავებაში.
- შევიმუშავოთ მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობისთვის საჭირო პოლიტიკა.

რატომ უნდა იყოს ეს თქვენთვისაც მნიშვნელოვანი?

დღეს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ახალგაზრდების 13.6% დაუსაქმებელია. ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული მაჩვენებელი 50%-საც კი აღწევს. უმუშევრობა კი, როგორც წესი, სამუშაო ბაზრისთვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და მზაობის ნაკლებობას უკავშირდება.

თქვენი ქმედებით დაეხმარეთ, რაც შეიძლება მეტ ადამიანს, რომ დასაქმდეს:

- არ გახდეთ იმ კომპანიის მომხმარებელი, რომელიც ბავშვთა ექსპლუატაციით არის დაკავებული: მოიძიეთ ინტერნეტში, თუ რომელი კომპანია ან ბრენდი იყენებს ბავშვთა შრომას თავიანთი პროდუქციის გამოშვების პროცესში.

- ჩაეწერეთ სასწავლო კურსებზე, რომლებიც ახალ უნარ-ჩვევებს შეგძენთ: დასაქმების შესაძლობლობის გაზრდასა და სწავლასთან ერთად, პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებაზეც იფიქრეთ. დაესწარით ტრენინგებსა და სემინარებს ონლაინრეჟიმში ან ადგილზე.

- შეიძინეთ ადგილობრივი მწარმოებლისგან: ამით ადგილობრივ ეკონომიკურ ზრდის შეუწყობთ ხელს.

- გაეცანით შრომის კანონს, განსაკუთრებით კი, იმ ნაწილს, რომელიც თქვენს ასაკობრივ კატეგორიას ეხება: გულდასმით წაიკითხეთ და გაიგეთ, როგორია ახალგაზრდების დასაქმების პირობები.

ნიკო კვაცხოველის სასკოლო ჯრების 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოსალუბის ბაბაკვლევი

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

- **გაკვეთილების შემდეგ მოაწყვეთ სამუშაო შეხვედრები (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში):** მოიწვიეთ სხვადასხვა სფეროს სპეციალისტები, რომლებიც ისაუბრებენ თავიანთ პროფესიასა და სფეროზე. ასევე, შეგიძლიათ, ისეთი სივრცე მოაწყოთ, რომელსაც მოწვეული მონაწილეები ერთმანეთისთვის შერჩეულ საკითხზე გამოცდილების გაზიარების მიზნით გამოიყენებენ.

- **შეისწავლეთ და გამოავლინეთ შრომითი უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევები** თქვენს თემში და მოითხოვეთ სამართლიანი, უსაფრთხო და ღირსეული შრომის პირობების უზრუნველყოფა. სამწუხაროდ, ჩვენ გარშემო ხშირია უბედური შემთხვევები არასათანადო სამუშაო პირობების გამო. შეიძლება გავიხსენოთ ბოლო დროს მომხდარი უამრავი შემთხვევა მშენებლობებზე, შახტებში. მიზეზი ხშირად მარტივი წესების დაუცველობაა, რომლის პრევენციაში წვლილის შეტანა ახალგაზრდებსაც შეუძლიათ.

- **გამოიჩინეთ სურვილი, ჩატარდეს პროფესიული ორიენტაციის ტესტი:** სთხოვეთ მასწავლებელს ან დირექტორს, რომ კლასში პროფესიული ორიენტაციის ტესტის ჩატარებაში დაგეხმარონ.

- **მოაწყვეთ ტრენინგები იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ქალაქებისგან დაშორებულ ადგილებში ცხოვრობენ (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში):** ცენტრისგან მკვეთრად დაშორებულ სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებს, როგორც წესი, არ აქვთ წვდომა დამატებით ტრენინგებზე, თქვენ კი მათ დახმარებას ნამდვილად შეძლებთ: მოიწვიეთ გამოცდილი ადამიანები, რომლებიც მათ ტრენინგებს ჩაუტარებენ.

- გამოიკვლიეთ, იქნებ თქვენს თემში არიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები ? მათ ბევრი რამის სწავლება შეუძლიათ თქვენთვის და თქვენი მეგობრებისთვის.

- **ხელი შეუწყვეთ თქვენი სოფლის, ქალაქისა და ქვეყნის პოპულარიზაციას (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში):** გახდით ქვეყნისა თუ თემის ელჩი და მხარი დაუჭირეთ ტურიზმს, გაავრცელეთ ინფორმაცია უცხოელ მეგობრებში და მოიზიდეთ ტურისტები.

თითოეული ღონისძიება 20 „ნერგის“ ტოლფასია!

„ნერგების“ მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 8.

9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

მრეწველობა არის საქონლის ან მომსახურებების წარმოება ეკონომიკის ფარგლებში. **ინოვაცია** არის ახალი იდეა, მოწყობილობა ან მეთოდი. **ინფრასტრუქტურა** გულისხმობს ფუნდამენტურ ნაგებობებსა და სისტემას, რომელიც ემსახურება ქვეყანას, ქალაქს ან რაიონს, იმ სერვისებისა და ნაგებობების ჩათვლით, რომლებიც აუცილებელია ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის.

განვითარებად მსოფლიოში:

- დაახლოებით **2.6 მილიარდი** ადამიანი აწყდება სირთულეებს ელექტროენერგიაზე მუდმივი წვდომის მოპოვებასთან დაკავშირებით.
- **2.5 მილიარდ** ადამიანს მსოფლიოში არ აქვს სათანადო წვდომა ელემენტარულ სანიტარიულ პირობებზე
- თითქმის **800 მილიონ** ადამიანს, რომელთა უდიდესი ნაწილი სუბსაჰარულ აფრიკასა და სამხრეთ აზიაში ცხოვრობს, აქვს დეფიციტური წვდომა წყალზე.
- **1-1.5 მილიარდ** ადამიანს არ აქვს წვდომა სატელეფონო სერვისებზე.
- განვითარებად ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხოლოდ **30%** გადის სამრეწველო გადამუშავებას, მაშინ, როცა ეს რიცხვი მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში 98%-ს აღწევს.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #9 მიზნის მისაღწევად?

კვლევისათვის რესურსების გამოყოფა გადამწყვეტია მრეწველობისა და ინფრასტრუქტურის სფეროში ყოველი ქვეყნის სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ტექნოლოგიების გასაუმჯობესებლად. მეცნიერული კვლევის გაძლიერება, ინოვაციების წახალისება და მკვლევართა რაოდენობის გაზრდა ხელს შეუწყობს ინდუსტრიული სექტორების ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

რისი მიღწევა გვსურს?

- გავაორმაგოთ განვითარებად ქვეყნებში **მრეწველობაში დასაქმებულთა** რაოდენობა.
- **ყველას ჰქონდეს წვდომა ინტერნეტთან.**
- **გავაფართოვოთ სამეცნიერო კვლევა.**

კონტექსტის ზოგადი მიმოხილვა: მაშინ, როცა გარკვეულ წრეებში უკვე მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის მოახლოებაზე საუბრობენ, მსოფლიოში 4 მილიარდამდე ადამიანია, რომლებსაც ინტერნეტთან წვდომა არ გააჩნიათ (იგულისხმება, ზოგადად, ინტერნეტი და არა 4G). მოვესწარით მძღოლის გარეშე მოსიარულე მანქანებს, თუმცა პარალელურად კვლავ არსებობს ისეთი ქვეყნები, რომლებსაც ხარისხიანი გზა და გამართული საზოგადოებრივი ტრანსპორტი ისევ არ აქვს.

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

გთავაზობთ რამდენიმე მარტივ გზას, თუ როგორ შეგიძლიათ ამ მიზნის მიღწევაში წვლილი შეიტანოთ და ნერგები დააგროვოთ. ახალგაზრდები ხომ ინოვაციების კატალიზატორები არიან:

- მოაწყვეთ შეხვედრა მრეწველობის სფეროში დასაქმებულ ადამიანებთან (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში): სკოლის მოსწავლეებისთვის საუკეთესო გზა იმისათვის, რომ გაერკვნენ, თუ რომელი პროფესია მოსწონთ და სად სურთ დასაქმება მომავალში, სწორედ იმ ადამიანების გაცნობაა, რომლებიც ამა თუ იმ სფეროში უკვე მუშაობენ. მოიწვიეთ ისინი სკოლაში, რომ თავიანთი გამოცდილებისა და უნარების გაზიარება შეძლონ, რაც სამომავლოდ, დასაქმებისას გამოგადგებათ.

- მოაწყვეთ ან თავად გახდით ანალიტიკური ცენტრის კონკურსის მონაწილე: მოიწვიეთ კომპანიები ან სტარტაპები, რომლებიც გამარჯვებული იდეის მქონეს მენტორობას გაუწევენ და მის განხორციელებაში დაეხმარებიან.

- იზრუნეთ კომპიუტერული უნარების განვითარებაზე: მოითხოვეთ, რომ სკოლაში კომპიუტერული უნარების შემსწავლელი გაკვეთილები ჩაგიტარდეთ ან სკოლის შემდეგ - ტრენინგები, რომლებიც კოდირებას გასწავლით ან კომპიუტერულ სხვა უნარებს გაგივითარებთ. სწორედ ასე დაუმეგობრდება გაცილებით მეტი ბავშვი ტექნოლოგიას.

- სთხოვეთ სკოლისა თუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომ უკაბელო ინტერნეტთან გქონდეთ წვდომა: უკაბელო ინტერნეტის საშუალებით, ის ბავშვები, რომლებსაც ინტერნეტთან მუდმივი წვდომა არ აქვთ, შეძლებენ, მათთვის საჭირო ცოდნასა და შესაძლებლობებს გაეცნონ და პროგრესს არ ჩამორჩნენ.

- შექმენით უკაბელო ინტერნეტის აღმნიშვნელი რუკა: როგორც ვიცით, არაერთ საჯარო სივრცეშია მოწყობილი უფასო უკაბელო ინტერნეტი. ასეთი ადგილების მონიშვნით და სოციალურ მედიაში გავრცელებით, ან თუნდაც საინფორმაციო ბუკლეტების სამეზობლოში დარიგებით, წვლილს შეიტანთ იმაში, რომ გაცილებით მეტ ადამიანს ჰქონდეს წვდომა ინტერნეტთან.

- მოაწყვეთ სამეცნიერო გამოფენა სკოლაში: სამეცნიერო გამოფენის მოწყობა და მასში მონაწილეობა თქვენ და თქვენს თანაკლასებს დაგეხმარებათ, გაიღრმაოთ ცოდნა და ინტერესი ინოვაციებსა და მრეწველობაში. ასევე, გამოცდით, თუ როგორ უნდა მოაგვაროთ სხვადასხვა სახის გამოწვევა კრეატიულად.

- შეისწავლეთ მრეწველობის პრაქტიკა თემში - რა იწარმოება პირველადი პროდუქტის სახით, რა გადამუშავდება; რა ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს და რამდენად ეფექტური არის სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც საოჯახო მეურნეობებსა და მცირე ბიზნესს ღირებულებათა ჯაჭვის შექმნაში ეხმარებიან; რა ტრადიციები არსებობდა და არსებობს (რეწვა, ავეჯის წარმოება, ტურისტული პროდუქცია, კვების პროდუქტები...).

თითოეული ღონისძიება 20 „ნერგის“ ტოლფასია!

„ნერგების“ მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 9.

ნიკო კვიხოველის სასკოლო ჯრების 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოსკოლების მხარდაჭერა

10

შემცირებული უთანასწორობა

სოციალური თანასწორობა არის ისეთი მდგომარეობა, რომელშიც ყველა ადამიანს, კონკრეტულ საზოგადოებასა თუ იზოლირებულ ჯგუფს აქვს ერთი და იგივე სტატუსი სამოქალაქო უფლებებთან, სიტყვის თავისუფლებასთან, საკუთრების უფლებებთან, საზოგადოებრივ სიკეთეებთან და სერვისებზე თანასწორ წვდომასთან მიმართებით.

ის მოიცავს ისეთ კონცეფციებს, როგორიც არის: თანასწორობა ჯანდაცვის სფეროში, ეკონომიკური თანასწორობა და სხვა ტიპის სოციალური უსაფრთხოებები. ის ასევე გულისხმობს თანაბარ შესაძლებლობებსა და მოვალეობებს და, შესაბამისად, მოიცავს მთელ საზოგადოებას.

საშუალოდ, მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, განვითარებად ქვეყნებში შემოსავლების უთანასწორობა 1990-2010 წლებში 11%-ით გაიზარდა. ოჯახების უმრავლესობა (მოსახლეობის 75%-ზე მეტი) განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს საზოგადოებაში, სადაც შემოსავლები უფრო არათანაბრად არის გადანაწილებული, ვიდრე 1990-იან წლებში იყო. გარკვეულ ზღვარს მიღმა უთანასწორობა გავლენას ახდენს ზრდაზე, სიღარიბის შემცირებაზე და უფრო ფართოდ, ურთიერთობების ხარისხზე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სფეროებში, ისევე როგორც ადამიანის ღირსებაზე.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #10 მიზნის მისაღწევად?

ხარისხიანი განათლება ამაღლებს ცნობიერებას არსებული უთანასწორობის შესახებ. მას წვლილი შეაქვს იმის უზრუნველყოფაში, რომ კანონებმა და სოციალურმა პროგრამებმა, პირველ რიგში, არადამაკმაყოფილებელ პირობებში მყოფი და უმწეო ადამიანები დაიცვას.

ის ხელს უწყობს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინკლუზიურობის გაძლიერებასა და დაწინაურებას ყველასათვის, მიუხედავად ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობების, რასის, ეთნიკურობის, წარმოშობის, რელიგიის ან ეკონომიკური თუ სხვა სახის სტატუსისა.

რისი მიღწევა გვსურს?

- **შევამციროთ** მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული **შემოსავლების უთანასწორობა.**
- **ლტოლვილებსა და მიგრანტებს უსაფრთხო გადაადგილების საშუალება ჰქონდეთ.**
- **ნებისმიერი ასაკის, სქესის, ფიზიკური შესაძლებლობის, რასის, ეთნიკურობის, წარმომავლობის, რელიგიის, ეკონომიკური ან სხვა სტატუსის მქონე ადამიანის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინკლუზიის წინა პლანზე წამოწევა.**

როგორც ხედავთ, თანასწორობის თემის გარშემო ბევრი სხვადასხვა საკითხი იკვეთება. ცხოვრებაში, თუნდაც ერთხელ, ყველას გვიგრძნია თავი დისკრიმინირებულად. ზოგიერთი ადამიანი ჯერ კიდევ პრობლემას ხედავს იმაში, თუ ვინ ხართ, რა გაქვთ ან ვინ გიყვართ. გარდა პიროვნებასთან დაკავშირებული პრობლემებისა, თქვენი ასაკის მრავალი ახალგაზრდა კიდევ ერთი სახის კრიზისს განიცდის - მსოფლიოში იძულებით გადაადგილებული პირების 50% 18 წლამდე ასაკისაა.

ნიკო კვანტარაძის სასკოლო ჟურნალი 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოსკოლების მზაობა

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

ვცხოვრობთ რა 21-ე საუკუნეში, ვთვლით, რომ საჭიროა მიღებულ იქნეს გარკვეული ზომები, რაც „ნერგების“ დაგროვებაშიც დაგეხმარებათ:

- **მოაწყვეთ ღონისძიებები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ უმცირესობებზე ზეგავლენის მქონე პრობლემებზე (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში):** სოციალურად დაუცველ ჯგუფებსა და უმცირესობებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია მათი ძირითადი უფლებების შესახებ, როგორებიცაა: ადამიანის, შრომის, საკუთრების უფლებები, რაც მათ უთანასწორობისადმი დაუცველს ხდის.

- **მოინახულეთ ადგილობრივი თავშესაფრები, ბავშვთა სახლები ან უმცირესობათა სათემო ცენტრები:** მოითხოვეთ შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და არასაკმარისად წარმოდგენილ ჯგუფებთან, რომ გაახმოვანოთ მათი აზრი. მიზნად დაისახეთ, რომ ყველამ გაიგოს მათი ხმა ასაკის, სქესის, ფიზიკური შესაძლებლობის, რასის, ეთნიკურობის, წარმომავლობის, რელიგიის, ეკონომიკური ან სხვა სტატუსის მიუხედავად.

- **მხარი დაუჭირეთ თქვენს თემში მცხოვრებ მიგრანტებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს:** იმუშავეთ მოხალისედ ადგილობრივ იძულებით გადაადგილებულ პირთა ბანაკში. შეაგროვეთ ან შემოწირულობის სახით გაიღეთ საჭირო ელექტროხელსაწყოები, საკვები ან ტანსაცმელი. შეგიძლიათ ორგანიზება გაუკეთოთ ენის კურსებს, თქვენი ქვეყნის კულტურული გაცნობის კურსს ან უნარების სემინარს, რაც მათ ადაპტაციას გააადვილებს. მოითხოვეთ ხელისუფლებისაგან, დახმარება გასწიოს ლტოლვილთა და ეკომიგრანტთა კრიზისის გადაწყვეტის ხელშეწყობაში.

- **გაანათლეთ საკუთარი თავი და თქვენი მეგობრები კულტურული განსხვავებების შესახებ (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში):** გლობალიზებულ სამყაროში უნდა იცოდეთ განსხვავებულ კულტურებთან მუშაობა, რომ გარემო უფრო ინკლუზიური გახადოთ. დაინიშნეთ ერთი საათი და დაუთმეთ ეს დრო აღნიშნული თემის მიმოკვლევას. განიხილეთ მიღებული ინფორმაცია თანატოლებთან და ოჯახის წევრებთან.

- **აამაღლეთ ცნობიერება სხვადასხვა რელიგიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ:** მას შემდეგ, რაც თავად ისწავლით, მოაწყვეთ თქვენი თემისთვის (სკოლისთვის, უნივერსიტეტისთვის) რამდენიმე კულტურული საღამო სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის შესახებ არსებული ცრურწმენის აღმოსაფხვრელად.

- **უპირატესობა მიანიჭეთ ინკლუზიურ კომპანიებს:** გაეცანით ისეთი კომპანიების ჩამონათვალს, რომლებიც სხვადასხვა უმცირესობის მიმართ პასუხისმგებლობას იჩენენ მათი დასაქმებით ან თავიანთი პროდუქტების მეშვეობით.გაავრცელეთ მათ შესახებ ინფორმაცია თქვენს სამეგობრო წრეში .

- **შეისწავლეთ მდგომარეობა სკოლაში/თემში** - როგორ ფიქრობთ, რამდენადაა თემში უმცირესობების უფლებები დაცული? მოამზადეთ კითხვარი და ჩაატარეთ კვლევა, შედეგები კი თანატოლებს გაუზიარეთ.

თითოეული ღონისძიება 20 „ნერგის“ ტოლფასია!

„ნერგების“ მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 10.

ნიკო პეტხოველის სასკოლო ჯრემის 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოკლუბის მხარეცვლილი

11 მდგრადი ქალაქები და დასახლებები

მდგრადი ქალაქი არის ადგილი, რომელიც პატივს სცემს მდგრადი განვითარების პრიორიტეტებს და საშუალებას აძლევს საკუთარ **მოსახლეობას, იცხოვროს კარგ პირობებსა და ჰარმონიაში** გარშემო არსებულ ბუნებასთან.

დღეს კაცობრიობის ნახევარი - **3.5 მილიარდი ადამიანი** - ქალაქებში ცხოვრობს. 2030 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის თითქმის **60%** ურბანულ დასახლებებში იცხოვრებს. შემდეგი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ურბანული გაფართოების **95%** განვითარებად მსოფლიოში მოხდება. მსოფლიო ქალაქებს დედამიწის ტერიტორიის მხოლოდ **3%** უკავია, მაგრამ ეს ტერიტორია ენერგიის საერთო მოხმარების **60-80%**-ზეა პასუხისმგებელი, ისევე როგორც დედამიწის მასშტაბით გამოყოფილი ნახშირორჟანგის **70%**-ზე მეტ წილზე.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #11 მიზნის მისაღწევად?

ჰაერის ხარისხის მონიტორინგისთვის და ნარჩენების მართვისთვის საჭიროა შესაბამისი მექანიზმები, რასაც განაპირობებს ხარისხიანი განათლება. შესაბამისი, თანამედროვე განათლება ასწავლის საზოგადოების წევრებს თუ როგორ უნდა მართონ საკუთარი რესურსები და გაუმკლავდნენ კლიმატის ცვლილებას. განათლებული საზოგადოება აქტიურად ერთვება საუბრებსა და ქალაქის გასაუმჯობესებლად მოწყობილ აქტივობებში.

რისი მიღწევა გვსურს?

- ყველას ჰქონდეს **ხარისხიანი საცხოვრებელი.**
- **განვავითაროთ მდგრადი ქალაქები და სოფლის დასახლებები.**
- **მოწყვლადი თემები** დაცული იყვნენ ბუნებრივი კატასტროფებისაგან.
- **უსაფრთხო და ხელმისაწვდომი სატრანსპორტო სისტემა** ყველასთვის.
- **საყოველთაო წვდომა** საჯარო სივრცეებზე.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი:

საცხოვრებლის ქონა თითქოს ჩვეულებრივი რამ არის, თუმცა დღეს 828 მილიონი ადამიანი უსახლკაროების თვითნებურ დასახლებებში (უკიდურესად მჭიდროდ, ყოველგვარი ინფრასტრუქტურის გარეშე) ცხოვრობს და ეს რიცხვი გამუდმებით იზრდება. ურბანიზაციის ზრდა ტვირთად აწვება მტკნარი წყლის მარაგებს, საკანალიზაციო სისტემას, საცხოვრებელ გარემოს და საზოგადოებრივ ჯანმრთელობას.

თქვენი ქმედებებით შეგიძლიათ გააუმჯობესოთ ქალაქების საცხოვრებელი პირობები:

- **დაათვალიერეთ თქვენი საცხოვრებელი კორპუსი:** გამოყავით ერთი საათი იმისათვის, რომ შეამოწმოთ თქვენი საცხოვრებელი კორპუსის უსაფრთხოება და ინკლუზიურობა (არის თუ არა ის ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე / ხანდაზმული ადამიანებისათვის? ხომ არ არის მასში გაშიშვლებული მავთულები? და ა. შ.) პრობლემების შესახებ აცნობეთ თქვენს სახლმმართველობას ან სახელისუფლებო უწყებას.

- **იმგზავრეთ მდგრადობის პრინციპის დაცვით:** ამის ბევრი საშუალება არსებობს - მანქანით ერთზე მეტი ადამიანის მოგზაურობა, ველოსიპედით მგზავრობა ან საჯარო ტრანსპორტის გამოყენება. ყველა აღნიშნული ხერხი ზრდის თქვენი ქალაქის მდგრადობას.

ნიკო კეცხოველის სასკოლო ჯრემის 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოლოგიის მხატვრული

- **შეადგინეთ თქვენი სახლისთვის „კარგი მეზობლის სახელმძღვანელო“:** გააანალიზეთ თქვენი საცხოვრებელი სახლის დათვალიერების შედეგები და ჩამოაყალიბეთ სამოქმედო გეგმა, რომელიც თქვენს მეზობლებთან ერთად შეგიძლიათ განახორციელოთ იმისათვის, რომ თქვენი საცხოვრებელი უფრო უსაფრთხო და მდგრადი გახადოთ. წარუდგინეთ ეს გეგმა თქვენს მეზობლებს და აჩვენეთ, როგორ შეუძლიათ გაუმჯობესონ საერთო სივრცეები.

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

- **ხელი მოაწერეთ პეტიციებს ურბანული განვითარების შესახებ:** თვალყური ადევნეთ საჯარო სივრცეების განვითარებას. წამოიწყეთ პეტიცია, შეჩერდეს ისეთი პროექტები, რომლებიც ხელს არ უწყობენ მდგრადი ქალაქების განვითარებას და თქვენს საცხოვრებელ კორპურში/სამეზობლოში ლობირება გაუწიეთ ისეთ პროექტებს, რომლებიც უკეთესი ქალაქების მშენებლობას უწყობენ ხელს.

- **კულტურული საღამოების მოწყობა (ონლაინ ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ გარემოში):** მოაწყვეთ რამდენიმე შეხვედრა, სადაც თქვენს ადგილობრივ თემს შეეძლება, წარადგინოს ინფორმაცია მათი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. შეეცადეთ, მოამზადოთ სხვადასხვა კულტურის თემების ტრადიციული კერძები, ისწავლოთ მათი სიმღერები, ცეკვები ან თამაშები.

- **პოპულარიზაცია გაუწიეთ და მხარი დაუჭირეთ ადგილობრივ მუზეუმებს:** გამოდით ინიციატივით, მოეწყოს კლასის ვიზიტები მუზეუმებში, რომლებიც თქვენი კვლევის ან ინტერესების სფეროს ეხება. იმუშავეთ მოხალისედ მუზეუმში გიდად ან დაეხმარეთ მათ სარეკლამო საქმიანობაში.

- **გაავრცელეთ ინფორმაცია კატასტროფებზე რეაგირების პუნქტებისა და იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დახმარების გაწევა:** გამოიყენეთ სოციალური მედია იმისთვის, რომ გაავრცელოთ გაფრთხილება და აამაღლოთ ცნობიერება ბუნებრივ საფრთხეებზე, ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული კატასტროფების შესახებ და კატასტროფების დროს განსახორციელებელ ქმედებებზე. ინფორმაციის მისაღებად/გასავრცელებლად შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ forestry.ge-ზე განთავსებული გზამკვლევით - როგორ მოვიქცეთ კლმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების დროს? საჭირო ინფორმაციის მისაღებად გადაამისამართეთ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სააგენტოებზე / უწყებებზე.

- **შეადგინეთ საგანგებო სიტუაციაში თქვენი საცხოვრებელი სახლის ევაკუაციის გეგმა** შემუშავებული სასკოლო-სათემო მოდულის მიხედვით (ინფორმაცია განთავსდება პორტალზე forestry.ge).

- მოიპოვეთ ინფორმაცია **თემში მცხოვრები დაუცველი ჯგუფების შესახებ,** რომლებიც საზოგადოებისა და სახელმწიფოსგან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ; შეაფასეთ მათთვის წარმოქმნილი რისკები და განსაზღვრეთ საჭიროებები სხვადასხვა გარემოებებში (პანდემია, სტიქია, ექსტრემალური მეტეოროლოგიური პირობები), მიაწოდეთ ინფორმაცია შესაბამის უწყებებს და ჩაერთეთ მათი მხარდაჭერის ინიციატივებში.

  კატასტროფის შედეგების რისკის შემცირების მიზნით წინასწარ ასაწვლეთ მოწყვლადი ჯგუფების წევრებს თუ როგორ უნდა მოიქცნენ კატასტროფის დროს. დამატებითი ინფორმაცია მოწყვლადი ჯგუფების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ პორტალ forestry.ge-ზე განთავსებულ გზამკვლევში კატასტროფის რისკის მართვის შესახებ.

- **ჩამოაყალიბეთ ახალგაზრდა მრჩეველთა საბჭოები, რომლებიც მრჩეველობას გაუწევენ მთავრობას:** შეგიძლიათ მოამზადოთ პეტიცია ურბანულ განვითარებაში ახალგაზრდების აზრის გათვალისწინების შესახებ, დაწეროთ შეთავაზება და წარუდგინოთ მუნიციპალიტეტს. მიაწოდეთ მას იდეა საბჭოს ახალგაზრდებისაგან, რომელთაც აქვთ საინტერესო იდეები ქალაქის გაუმჯობესების შესახებ.

- **შექმენით ახალი სივრცეები:** თანაკლასელებთან ერთად შეიმუშავეთ პროექტი სპორტის, დასვენების ან თემთან ურთიერთობისთვის ახალი სივრცეების შესაქმნელად. შეგიძლიათ, ორგანიზება გაუკეთოთ „ქრაუდსორსინგის"[10] კამპანიას იმისათვის, რომ მოიპოვოთ დაფინანსება და ამაში ჩართოთ მოხალისეები ახლომდებარე უბნებიდან.

- **გაიგეთ მეტი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ და გაავრცელეთ ინფორმაცია თემში.** თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ხანძარსაწინააღმდეგო ტექნოლოგიების გამოყენება. მნიშვნელოვანია ხანძრის პრევენციის მარტივი წესების დანერგვა, ხანძრისთვის მზაობა და რეაგირება ხანძრის დროს, რასაც ასევე სჭირდება წინასწარი დაგეგმვა, მათ შორის - საევაკუაციო გეგმების არსებობა, განსაკუთრებით - საჯარო შენობებში.

თითოეული ღონისძიება 30 „ნერგის" ტოლფასია!

„ნერგების" მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 11.

ნიკო კვიხოველის სასკოლო ჯრების 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოკლუბის ბანაკვლევი

[10] „ქრაუდსორსინგი" არის საერთო მიზნის გარშემო ადამიანთა გაერთიანება. ხშირად, ეს მიზანი ემსახურება ინოვაციას, პრობლემის გადაწყვეტასა და ქმედითობის გაზრდას.

ქრაუდსორსინგის მეშვეობით გაერთიანებული ადამიანები ქმნიან რაიმე ფასეულს, ახალ ინფორმაციას, ახალ პროდუქტსა თუ მომსახურებას.

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

მდგრადი მოხმარება გულისხმობს სერვისებისა და შესაბამისი პროდუქტების ისეთ გამოყენებას, რომელიც პასუხობს საბაზისო საჭიროებებს და რომელიც ადამიანთა სიცოცხლის ხარისხს აუმჯობესებს.

რესურსების პასუხისმგებლიანად გამოყენებას მინიმუმამდე დაჰყავს ბუნებრივი რესურსებისა და ტოქსიკური მასალების მოხმარება. ეს კი, ამცირებს დამაბინძურებელ ემისიებს სერვისისა თუ პროდუქტის ცხოვრების ციკლის განმავლობაში. შედეგად კი მომავალი თაობების საჭიროებებს არ შეექმნებათ საფრთე.

მდგრადი წარმოება არის საქონლისა და სერვისების შექმნა ისეთი პროცესებისა და სისტემების გამოყენებით, რომლებიც არ აბინძურებენ გარემოს, ინახავენ და ინარჩუნებენ ენერგიასა და ბუნებრივ რესურსებს, რომლებიც ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი, უსაფრთხო და ჯანსაღია მუშებისა და მომხმარებლებისათვის და სოციალურად ან შემოქმედებითად სასარგებლოა.

- საკვები: წლიურად წარმოებული საკვების დაახლოებით ⅓ ლპება მომხმარებლებისა და მოვაჭრეების ნაგვის ურნებში ან ფუჭდება ცუდი ტრანსპორტირებისა და მოსავლის აღების ცუდი პრაქტიკის გამო. ეს კი **1.3 მილიარდი ტონისა** და **1 ტრილიონი** დოლარის ეკვივალენტია.

- წყალი: მსოფლიო წყლების **3%-ზე** ნაკლები არის სასმელად ვარგისი. აქედან **2.5%** გაყინულია ანტარქტიკაში, არქტიკასა და მყინვარებში. შესაბამისად, კაცობრიობა უნდა დაეყრდნოს დარჩენილ **0.5%**-ს ადამიანის ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად სასმელად ვარგის წყალთან დაკავშირებით. **1 მილიარდზე** მეტ ადამიანს ჯერ კიდევ არ აქვს წვდომა სასმელ წყალზე.

- ენერგია: ტექნოლოგიური წინსვლის მიუხედავად, რამაც ენერგიის ეფექტიანად დაგროვება დააჩქარა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ გამოყენებული ენერგია 2021 წლისთვის **35%**-ით გაიზრდება.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #12 მიზნის მისაღწევად?

ხარისხიან განათლებას წვლილი შეაქვს ნარჩენების გენერირების შემცირებაში, 4 მნიშვნელოვანი პრაქტიკის (4R-ის)[11] წარდგენით: შემცირება, ხელახალი გამოყენება, გადამუშავება და აღდგენა.

საზოგადოების ინფორმირება და განათლება ხელმისაწვდომს ხდის ყველა იმ საშუალებას, რომელიც საჭიროა ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრებისა და მდგრადი ცხოვრების წესისათვის.

რით დავიწყოთ?

- **შეამცირეთ ქაღალდის გამოყენება:** ეცადეთ, საერთოდ არ გამოიყენოთ ქაღალდი და ჩაანაცვლოთ იგი ელექტრონული მოწყობილობებით. თუ ეს შეუძლებელია, დაბეჭდეთ ქაღალდის ორივე მხარეზე, რომ ნაკლები რესურსის გამოყენებით შეინარჩუნოთ მეტი ხე.

- **შეიძინეთ გადამუშავებული პროდუქტები ან თქვენ თვითონ გადაამუშავეთ:** შეგიძლიათ, მოიძიოთ სხვადასხვა კრეატიული ხერხი იმისათვის, რომ ხელახლა გამოიყენოთ თქვენი სახლის ის ნივთები, რომელთა გადაგდებაც გსურდათ. შთაგონების წყაროსთვის მოიძიეთ ვიდეოები და სტატიები, სათაურით „გააკეთეთ თვითონ / Do It Yourself“ ან ჩართეთ თქვენი კრეატიულობა. ასევე შეგიძლიათ, შეიძინოთ გადამუშავებული მასალებისგან დამზადებული ნივთები. ასეთი ქმედებებით შეამცირებთ გაფლანგული რესურსების ოდენობას.

- **შეამცირეთ წყლის მოხმარება:** შეამცირეთ შხაპის ქვეშ გატარებული დრო, დაკეტეთ ონკანი ჭურჭლის რეცხვისას და შეახსენეთ ოჯახის წევრს, იგივე გააკეთოს.

- **ღამე გამორთეთ ელექტრონული მოწყობილობები:** დატენეთ ელექტრონული მოწყობილობები დღის განმავლობაში და დროულად გამორთეთ მათი სრული დატენვისას. თვალყური ადევნეთ სხვა მოწყობილობებს, რომლებსაც არ იყენებთ ღამე (შუქი, კონდიციონერი და ა. შ.) და დაძინებამდე გამორთეთ.

- **გაბერილი გქონდეთ მანქანის საბურავები:** ამით შეგიძლიათ შეამციროთ საწვავის ხარჯი.

- **ჩამოტვირთეთ და გამოიყენეთ საკვების გაზიარების აპლიკაციები:** შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ აპლიკაციები სხვადასხვა ადგილმდებარეობებით, რათა სხვას გაუნაწილოთ საჭმელი, რომელიც დაგრჩათ და შეამციროთ თქვენს ოჯახში დაგროვებული საკვების ნარჩენები. ასეთი აპლიკაციები არ გვაქვს საქართველოში? იქნებ სწორედ თქვენ უნდა შექმნათ? გაიგეთ რა უშლის ხელს საკვები ნარჩენის შემცირებას ჩვენს ქვეყანაში.

[11] Reduce, Reuse, Resycle, Recover

ნიკო კეცხოველის სასკოლო ჯრების 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოკლუბის მზაკვლევი

- **შეიძინეთ სურსათი ისეთ მაღაზიებში, რომლებიც ნარჩენს არ წარმოქმნიან:** თქვენს უბანში მოიძიეთ ისეთი მაღაზიები, რომლებიც სურსათს შეფუთვის გარეშე ყიდიან (ნულოვან ნარჩენს ქმნიან) და ნახეთ, როგორ შეუწყობს ხელს იქ სურსათის შეძენა პლასტმასას, ქაღალდისა და შესაფუთად გამოყენებული სხვა მასალების რაოდენობის შემცირებას.

- **აირჩიეთ ხელახლა გამოყენებადი პროდუქტები:** საყიდლებისათვის შეგიძლიათ, შეიძინოთ ეკოჩანთა, ხოლო პლასტმასას ბოთლი ან ჭიქა შეგიძლიათ ყოველთვის გამოიყენოთ იმისათვის, რომ შეამციროთ პლასტმასას ნარჩენის რაოდენობა

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

- **გააჩუქეთ ძველი ტანსაცმელი და ელექტრონული მოწყობილობები:** მოიძიეთ იმ ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებიც აგროვებენ ნივთებს ხელმოკლე ადამიანებისათვის და ქველმოქმედების სახით გაეცით ნივთები, რომლებიც მათ შეუძლიათ ხელახლა გამოიყენონ. შედეგად, მივიღებთ ნაკლებ მოხმარებას და ნაკლებ ზემოქმედებას გარემოზე.

- **დაამზადეთ ხელნაკეთი საჩუქრები:** შეგიძლიათ გამოიჩინოთ კრეატიულობა და დაამზადოთ საჩუქრები გადამუშავებული ნივთებისგან თქვენი მეგობრებისთვის, რაც რესურსების მდგრადი მოხმარება იქნება.

- **ჩაატარეთ სემინარი ხელახლა გამოყენებისა და გადამუშავების შესახებ:** დააინტერესეთ თქვენი თანატოლები ხელახლა გადამუშავების იდეით. შეგიძლიათ კიდევ უფრო მეტი ადამიანის ინფორმირება ნარჩენების ზემოქმედების შესახებ და ხელი შეუწყოთ იმაში, რომ აირჩიონ მდგრადი ცხოვრების სტილი.

- **სკოლაში ან სახლში მოაწყვეთ ნარჩენების „სეპარირების" ურნები:** დაიწყეთ ამ იდეის განხორციელება სკოლის/უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ან ნარჩენების მართვაზე ფოკუსირებულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად.

- **ლობირება[12] გაუწიეთ დაბინძურების შემცირებასა და გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებულ კორპორატიულ პასუხისმგებლობას:** შეუერთდით პეტიციებსა და კამპანიებს, რომლებიც ამხელენ ისეთ საწარმოებს, რომლებიც არ მისდევენ მდგრადობის პრინციპს. აირჩიეთ და შეიძინეთ პროდუქტები ისეთი ორგანიზაციებისაგან, რომლებიც მდგრადობის პრინციპის დამცველი ორგანიზაციების სიებში

[12] ლობირება არის კანონიერი საშუალება, მოახდინო გავლენა პოლიტიკური წარმომადგენლობის გადაწყვეტილებასა თუ აქტივობებზე

არიან.

- **იკვებეთ ვეგეტარიანულად:** შეეცადეთ, შეგნებულად შეამციროთ ხორცის მოხმარება. ხორცის მრეწველობა წყლის რესურსების მოხმარების შედეგად წარმოქმნის უზარმაზარი რაოდენობის ნარჩენებს და აბინძურებს გარემოს. დაარწმუნეთ თქვენი სკოლის დირექცია იმაში, რომ სკოლის სასადილო კვირაში ერთი დღის განმავლობაში მხოლოდ ვეგეტარიანული საკვებით მოამარაგონ.

თითოეული ღონისძიება 30 „ნერგის“ ტოლფასია!

„ნერგების“ მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 12.

ნიკო კეცხოველის სასკოლო ჯრების 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოკლუბის მხარეცვლები

13 კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები

კლიმატის ცვლილება არის ცვლილება ამინდის საშუალო ნიმუშებში, რომელიც შეიმჩნევა მოცემულ რეგიონში გარკვეული დროის განმავლობაში. ეს ნიმუშები მოიცავს ყველა ელემენტს, რომელსაც ჩვენ, როგორც წესი, ამინდთან ვაკავშირებთ, როგორებიცაა: ტემპერატურა, ქარი და ნალექიანობა. კლიმატის ცვლილება, მსოფლიოს მასშტაბით, გულისხმობს იმ სახეცვლილებებს, რომლებსაც პლანეტის მთელი კლიმატი განიცდის. გრძელვადიან პერსპექტივაში კლიმატთან დაკავშირებული ცვლილებების სიჩქარემ და მასშტაბმა შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს ეკოსისტემასა და ადამიანის აქტივობებზე.

1990 წლიდან 2012 წლამდე საშუალო გლობალური ტემპერატურა 0.85°C-ით გაიზარდა. მნიშვნელოვნად შემცირდა სიმინდის, ხორბლისა და სხვა ძირითადი მარცვლეულის მოსავალი გლობალურ დონეზე, რამაც 1981-202 წლებში უფრო თბილი კლიმატის გამო წლიურად 40 მეგატონა შეადგინა. 1901 წლიდან 2010 წლამდე ზღვის საშუალო გლობალური დონე 19 სმ-ით გაიზარდა, ოკეანეები გაფართოვდა ყინულის დნობის გამო. არქტიკის ზღვის ყინული მუდმივად მცირდება 1979 წლის შემდეგ, საშუალოდ 1.07 მილიონი კმ^2 იკარგება ყოველ 10 წელში. სათბურის აირების ამჟამინდელი კონცენტრაციისა და გამოყოფის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ ამ საუკუნის ბოლოს, 1900 წელთან შედარებით, გლობალური ტემპერატურის ზრდა 1.5°C -ს გადააჭარბებს. ნავარაუდებია, რომ 2065 წლისათვის ზღვის დონის საშუალო მატება - 25-30 სმ-ს, ხოლო 2100 წლისათვის 40-63 სმ-ს მიაღწევს. ნახშირორჟანგის (CO_2-ის) გლობალური ემისიები, **1900 წელთან შედარებით,** თითქმის **50%-ით** გაიზარდა.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #13 მიზნის მისაღწევად?

კლიმატის ცვლილების შესახებ (CCE) ხარისხიანი განათლება ამაღლებს ადამიანისშესაძლებლობების შესახებ ცნობიერებას. განათლებულ საზოგადოებას შეუძლია კლიმატის ცვლილების შემცირებაზე, ადაპტაციასა და მისი გავლენის შემცირებაზე ზრუნვა.

CCE ასევე, ქმნის საკმარის შესაძლებლობებს იმისათვის, რომ სწორად ვმართოთ კლიმატის ცვლილება და ამ პროცესის შემარბილებელი ქმედებები.

რისი მიღწევა გვსურს?

- ადამიანები უკეთ იყვნენ მომზადებულნი, გაუმკლავდნენ **ბუნებრივ კატასტროფებს.**
- ავამაღლოთ **განათლება და ცნობიერება** კლიმატის ცვლილების შესახებ.

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

- **ჩაატარეთ სემინარები იმის შესახებ, თუ რა მოვიმოქმედოთ კატასტროფის შემთხვევაში:** მნიშვნელოვანია სემინარები მოიცავდეს კატასტროფის რისკის მართვის პროცესის სხვადასხვა საკითხებს, მაგალითად თემის ჩართულობას, მოწყვლად ჯგუფებს და ა.შ.

  დაუკავშირდით ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირებაზე პასუხისმგებელ უწყებებს, იმისთვის, რომ ეფექტიანად მოამზადოთ სემინარი. შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ Forestry.ge ზე განთავსებული საგანმანათლებლო დოკუმენტებით, იმისათვის რომ მეტი ინფორმაცია მიიღოთ კატასტროფის რისკის მართვასა და შემცირებასთან დაკავშირებული თემების შესახებ. ეს დაგეხმარებათ იმაში, რომ თქვენი თანატოლები საჭირო ცოდნით აღჭურვოთ და კატასტროფებისთვის უკეთ მოამზადოთ.

- **გამოთვალეთ თქვენი ნახშირბადის ნაკვალევი და შეადგინეთ სამოქმედო გეგმა გარემოს დასაცავად:** ინტერნეტში მოიძიეთ ნახშირბადის ნაკვალევის უფასო კალკულატორი თქვენი ემისიების გასათვლელად და მიზნად დაისახეთ მათი შემცირება.

- **ჩაატარეთ ტრენინგი კლიმატის ცვლილების თავიდან აცილების შესახებ:** ახლა, როცა უკვე იცით კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ, გახდით აქტივისტი და ჩაატარეთ სემინარები. გაანათლეთ სხვა ადამიანები ასწავლეთ, თუ რა შეუძლიათ მოიმოქმედონ და როგორ გახდნენ გარემოზე უფრო მეტად ფოკუსირებული.

- **გადამუშავება:** რაც ნაკლებია ნარჩენები, მით უფრო უსაფრთხოა გარემო. დააცალკევეთ ქაღალდი, შუშა, პლასტმასა, მეტალი, ძველი ელექტრონიკა. ყველა მათგანი უნდა გადამუშავდეს, მიიტანეთ გადამუშავების უახლოეს პუნქტში. **თუ ამჩნევთ, რომ თქვენი ქალაქი ნარჩენების დაყოფაზე არ ზრუნავს, სცადეთ, გაარკვიოთ ამის მიზეზი.** მოამზადეთ პეტიცია და მოუწოდეთ მერიას, არ დატოვოს ნარჩენის დახარისხების საკითხი ყურადღების გარეშე.

- **დაგეგმეთ და განახორციელეთ ადვოკატირების სამუშაოები** ეკომეგობრული ტრანსპორტის პოპულარიზაციისათვის; მოითხოვეთ უკეთესი საზოგადოებრივი ტრანსპორტი; დაგეგმეთ და განახორციელეთ/ კამპანია: უარს ვამბობთ მაღალი ემისიების მქონე, მძლავრი ან მწყობრიდან გამოსული კერძო სატრანსპორტო საშუალებების მოხმარებაზე; დანერგეთ ჯანსაღი ცხოვრების სტილი და მოახდინეთ ველოსიპედით ან ფეხით გადაადგილების პოპულარიზაცია.

თითოეული ღონისძიება 30 „ნერგის“ ტოლფასია!

„ნერგების“ მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 13.

ნიკო კვახოფალის სასკოლო ბრძოლა 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოკლუბის მასალები

14 ოკეანისა და ზღვის რესურსები

ჩვენ ვიყენებთ ოკეანის რესურსს (იქნება ეს ცხოველური, მცენარეული თუ სხვა), რათა გავიუმჯობესოთ საკუთარი ცხოვრების პირობები. **მდგრადი ექსპლუატაცია** გულისხმობს მიმდინარე საჭიროებების დაკმაყოფილებას ისე, რომ საფრთხის ქვეშ არ დადგეს მომავალი თაობის საჭიროებები.

მსოფლიოს მარჯნის რიფების **20%** განადგურდა აღდგენის შანსის გარეშე. დარჩენილი რიფების დაახლოებით **24%** გადაშენების საფრთხის ქვეშ არის ადამიანების აქტივობის შედეგად და **26%**-ს გადაშენება ემუქრება გრძელვადიან პერსპექტივაში. ოკეანეები დედამიწის ზედაპირის სამ მეოთხედს ფარავს, მოიცავს დედამიწის წყლების **97%**-ს და წარმოადგენს სასიცოცხლო სივრცის **99%**-ს პლანეტაზე. ოკეანეებში იდენტიფიცირებულია 20,000 სახეობა, მაგრამ რეალური რიცხვი შეიძლება მილიონებს აღწევდეს, ბევრი მათგანი ჯერაც ელის აღმოჩენას.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #14 მიზნის მისაღწევად?

განათლება ოკეანეების შესახებ უმჯობესდება სამეცნიერო თანამშრომლობითა და ცოდნის გაცვლის მეშვეობით ყველა დონეზე, კვლევითი შესაძლებლობებისა და საზღვაო ტექნოლოგიის განვითარებით.

რისი მიღწევა გვსურს?

- შევამციროთ ზღვებისა და ოკეანეების დაბინძურება.
- დავასრულოთ ჭარბი და უკანონო თევზჭერა.
- თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდეთ მცირე მასშტაბის მეთევზეებს.
- დავიცვათ ოკეანეებისა და ზღვების ეკოსისტემები.

გაქვთ თუ არა გაცნობიერებული, რომ ყველაფერი თქვენს თეფშს უბრუნდება? ოკეანე ჩვენი სანაგვე ურნა არაა. მსოფლიო ოკეანის 40%-ს უკიდურესად აზიანებს ადამიანის საქმიანობა. უფრო მეტიც, 3 მილიარდზე მეტი ადამიანის საარსებო საშუალებები საზღვაო და სანაპირო ბიომრავალფეროვნებაზეა დამოკიდებული. მარტივად რომ ვთქვათ, მსოფლიოს თითქმის ნახევარი მოსახლეობის არსებობა ოკეანეებზეა დამოკიდებული.

რით დავიწყოთ?

- **არ გადაყაროთ ნარჩენები მდინარეებსა და ოკეანეებში** და ამხილეთ ისინი, ვინც ამას აკეთებს.

- **შეიძინეთ ადგილობრივი და კანონიერად დაჭერილი თევზი:** ამით მხარს დაუჭერთ წვრილ მეწარმეებს. ყიდვისას დარწმუნდით, რომ ფერმერს აქვს თევზის ბიზნესის საწარმოებლად საჭირო დოკუმენტები.

ნიკო კვახოფალის სასკოლო ალმანახი 2024 - იმოქმედე ადამიანებისთვის / ეკოლოგიის მასალები

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

რა შეგიძლიათ მოიმოქმედოთ წყალქვეშა სამყაროსთვის?

- პლასტმასას გამოყენების საწინააღმდეგო კამპანიები: ჩაატარეთ საინფორმაციო კამპანია ზღვებსა და ოკეანეებში პლასტმასას არასათანადო განთავსების უარყოფითი შედეგების შესახებ.

- გაანათლეთ მეგობრები, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ოკეანეებისა და ზღვების რესურსები: YouthSpeak კვლევის თანახმად, ახალგაზრდების მხოლოდ 2%-მა გამოთქვა მზადყოფნა ზღვებისა და ოკეანეების სისტემის შენარჩუნებაში წვლილის შესატანად. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სუფთა ოკეანეების შენარჩუნება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისათვის. მოამზადეთ რამდენიმე პრეზენტაცია TED Talks-ის სტილში იმის შესახებ, თუ რა როლი უკავია ოკეანეებს ჩვენს ცხოვრებაში, ან აჩვენეთ აუდიტორიას Youtube-ის ვიდეორგოლები ოკეანეებსა და მათ ბინადრებზე ნარჩენების მავნე ზემოქმედების შესახებ.

- შეგნებულად მიუდექით ნარჩენების განთავსებას და მათ ზემოქმედებას წყლის ეკოსისტემებზე: მოიძიეთ და გაავრცელეთ სასარგებლო რჩევები ნარჩენების, განსაკუთრებით - შუშის, პლასტმასას, ბატარეებისა და ა.შ. განთავსების შესახებ, რათა თავიდან აიცილოთ საზღვაო ეკოსისტემაზე მიყენებული ზიანი.

- შეწყვიტეთ პოლიეთილენის ჩანთების გამოყენება: პლასტმასას გამოყენება და არასათანადო განთავსება ზღვების დაბინძურების მთავარი გამომწვევი მიზეზია. დაარწმუნეთ მშობლები, ეკოკლუბელები, შეწყვიტონ ოჯახში პოლიეთილენის ჩანთების გამოყენება. მოიფიქრეთ და განახორციელეთ შესაბამისი კამპანია.

- განახორციელეთ მდინარეებისა და მათი აუზების დასუფთავების პროექტი: როგორც მე-6 მიზანში („სუფთა წყალი“) იყო აღნიშნული, შეგიძლიათ მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად ჩაერთოთ ადგილობრივი მდინარის, ზღვის სანაპიროს ან ოკეანის დასუფთავებაში. გახადეთ ეს ღონისძიება უფრო ცნობადი Facebook-ზე გავრცელებით, რომ მიიღოთ მეტი მხარდაჭერა დახმარების მსურველი ადამიანებისგან.

თითოეული ღონისძიება 30 „ნერგის“ ტოლფასია!

„ნერგების“ მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 14.

15 დედამიწის ეკოსისტემა

ბიომრავალფეროვნება ნიშნავს დედამიწაზე არსებული სიცოცხლის ფორმების (მცენარეების, ცხოველების და მიკროორგანიზმების), აგრეთვე გენების და ცოცხალი ორგანიზმების მიერ წარმოქმნილი რთული სისტემების სიმრავლეს.

ბიომრავალფეროვნების ტერმინის ქვეშ მოიაზრება დედამიწაზე არსებული სიცოცხლის მრავალფეროვნება

ეკოსისტემა არის ერთობლიობა, რომელიც შედგება კონკრეტული გარემოსა და ცოცხალი არსებებისაგან. არსებობს დიდი რაოდენობით განსხვავებული სახეობები ერთსა და იმავე ეკოსისტემაში და დიდი რაოდენობით განსხვავებული ეკოსისტემები დედამიწაზე.

- ტყეები: დაახლოებით **1.6 მილიარდი** ადამიანი დამოკიდებულია ტყეებზე, როგორც არსებობის წყაროზე. ტყეებში „ბინადრობს" ხმელეთის ცხოველების, მცენარეებისა და მწერების სახეობების 80%-ზე მეტი.
- გაუდაბნოება: **2.6 მილიარდი** ადამიანი სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული, მაგრამ იმ მიწების **52%**-ზე, რომლებიც სოფლის მეურნეობისათვის გამოიყენება, მიწის დეგრადაციას საშუალო ან მძიმე ეფექტი აქვს. გვალვებისა და გაუდაბნოების გამო ყოველ წელს **12 მილიონი ჰექტარი** იკარგება (**23 ჰექტარი** ყოველ წუთში), რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა **20 მილიონი** ტონა მარცვლეულის მოყვანა. გლობალურად მიწის დეგრადაცია პირდაპირ გავლენას ახდენს ღარიბი ადამიანების **74%**-ზე.
- ბიომრავალფეროვნება: ცხოველების **8,300** ცნობილი სახეობიდან **8%** გადაშენდა, ხოლო **22%** გადაშენების რისკის ქვეშ არის. ხემცენარეების **80,000-ზე** მეტი სახეობიდან **1%**-ზე ნაკლებია შესწავლილი მათი პოტენციური გამოყენების მიზნით.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #15 მიზნის მისაღწევად?

იმისათვის, რომ ადგილობრივი და ეროვნული განვითარების პროცესში გათვალისწინებული იყოს ეკოსისტემისა და ბიომრავალფეროვნების ღირებულებანი, აუცილებელია ხარისხიანი განათლება.

რისი მიღწევა გვსურს?

- შევინარჩუნოთ **ტყეები და ლანდშაფტები.**
- თავიდან ავიცილოთ **საფრთხეში მყოფი სახეობების გადაშენება.**
- შევინარჩუნოთ **ნაყოფიერი** ნიადაგი.
- დავიცვათ **ველური ბუნება** და აღმოვფხვრათ **ბრაკონიერობა.**

ტყეები ჩვენ არ გვეკუთვნის. ტყეები ცხოველების, მცენარეებისა და მწერების 80%-ზე მეტი სახეობის საარსებო გარემოა. ხმელეთზე სიცოცხლის შესანარჩუნებლად ტყეებისა და სხვა სახმელეთო ეკოსისტემების მოვლა ჩვენი მოვალეობაა.

გსურთ დახმარების გაწევა? აი, როგორ:

- **გაწევრიანდით პოლიტიკის შემქმნელ ჯგუფში დედამიწის ეკოსისტემის დაცვის ლობირების მიზნით:** მონაწილეობა მიიღეთ დედამიწის ეკოსისტემების დაცვის ადვოკატირების საქმეში. ამას მოახერხებთ კომპანიებისა და მთავრობის მიმართ პეტიციების მომზადების, ადგილობრივ თემში საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზების, აღნიშნული მიზნის მხარდამჭერი რეზოლუციების შედგენისა და სხვა აქტივობების მეშვეობით. ეს დაგეხმარებათ იმაში, რომ სამთავრობო/კორპორაციების დონეზე დაიწყოს პრობლემის განხილვა.

- **ნარჩენები მოათავსეთ სათანადო ადგილას:** უბრალოდ იმით, რომ ნარჩენებს სანაგვე ურნაში მოათავსებთ, ხელს შეუწყობთ ნიადაგის, ტყეებისა და ლანდშაფტის სისუფთავის შენარჩუნებას, რაც აღნიშნულ ეკოსისტემებს დაბინძურებისგან დაიცავს.

- **უარი თქვით პესტიციდების გამოყენებაზე:** ნიადაგის ხარისხის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით, მცენარეების ზრდისას ნუ გამოიყენებთ ქიმიურ დანამატებს. ამით შეამცირებთ ნიადაგის დაბინძურებას. ყოველთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ბუნებრივი სასუქები.

- **არ შეიძინოთ გასაყიდად აკრძალული მცენარეები ან ველური ბუნების სახეობები:** შეგიძლიათ ხელი შეუშალოთ საფრთხეში მყოფი სახეობების გადაშენებას, თუ გადაამოწმებთ წყაროს და არ შეიძენთ გასაყიდად აკრძალულ მცენარეებსა და

ნიკო კვანტარაძის სასკოლო ჯრჭის 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოსისტემის გზაგვლენი

ცხოველებს. შეგიძლიათ ინტერნეტში ან ადგილობრივ ბიბლიოთეკაში მოიძიოთ საქართველოსა და მსოფლიოში წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების ჩამონათვალი.

- **ნუ შეიძენთ პროდუქტებს, რომლებიც ცხოველებზე არის გამოცდილი:** შეძენამდე გადაამოწმეთ პროდუქტის ეტიკეტი. დარწმუნდით, რომ ისინი არ არის გამოცდილი ცხოველებზე (უმეტესად, ეს ეხება კოსმეტიკას, საკვებს, სამედიცინო პროდუქციას და ა.შ.) ამასთან, შეგიძლიათ ინტერნეტში ნახოთ შესაბამისი ჩამონათვალი. თუ არ ვიყიდით ისეთი კომპანიებისგან, რომლებიც თავიანთ პროდუქტებს ცხოველებზე ცდიან, ამით ხელს შევუწყობთ ველური ბუნების მრავალფეროვნების შენარჩუნებას და ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის პრაქტიკის აღმოფხვრას.

- **ნუ ეწვევით ისეთ დაწესებულებებს, რომლებიც სასტიკად ეპყრობიან ცხოველებს:** უარი თქვით ცირკში სიარულზე. ეწვიეთ მხოლოდ იმ ზოოპარკებს, სადაც ცხოველებს კარგად უვლიან და მათ ბუნებრივი ჰაბიტატის შესაბამის გარემოს უქმნიან.

- **უარი თქვით ქურქსა და ტყავის ნაწარმზე:** ბუნებრივი ქურქისა და ტყავის ნაწარმი ჩაანაცვლეთ ხელოვნურით ან სხვა მასალებით, რათა ხელი შეუშალოთ მოდის ინდუსტრიაში არსებული ცხოველებისადმი სასტიკ მოპყრობას.

- **შეიფარეთ შინაური ცხოველები:** თუ ყიდვის ნაცვლად შინაურ ცხოველს შეიფარებთ, თქვენ შეძლებთ, გადაარჩინოთ სიცოცხლე.

- **უარი თქვით ნაძვის ხის შეძენაზე:** დაარწმუნეთ მშობლები, ნამდვილი ხე პლასტმასას ხით ჩაანაცვლონ და წლიდან წლამდე ხელახლა გამოიყენონ. ამით შენარჩუნდება სადღესასწაულო სულისკვეთებაც და ხეებიც.

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

- **დარგეთ ხე:** მიზნად დაისახეთ ყოველწლიურად, სულ მცირე, ერთი ხის დარგვა თითოეული ეკოკლუბის წევრის სახელზე თქვენს სიახლოვეს, სკოლის ბაღში ან ტყეში. შეგიძლიათ, ეს ღონისძიება ხალხისთვის სოციალურ მედიაში ცნობილი გახადოთ გამოწვევის სახით, ან უბრალოდ მეგობრებს გაუზიაროთ, რომ ამ იდეას შემოუერთდნენ. არ დაგავიწყდეთ, დახმარება სთხოვოთ მეტყევეებს, რათა სწორად შეგარჩევინონ ნერგები, დარგვის ადგილი და დრო.

- **დაასუფთავეთ ადგილობრივი პარკები და ტყეები:** ორგანიზება გაუკეთეთ ან შეუერთდით დასუფთავების აქციას. სინამდვილეში, ეს უფრო ადვილია, ვიდრე ჟღერს: აიღეთ სანაგვე პარკი და შეაგროვეთ მასში ნებისმიერი სახის ნარჩენები, რომლებსაც გარეთ ნახავთ. ერთი სანაგვე პარკის შევსებითაც კი უკვე პოზიტიურ ცვლილებას განახორციელებთ.

- **გადაამუშავეთ ქაღალდი:** შეგიძლიათ თავიდან აიცილოთ ხეების მოჭრა ნაკლები ქაღალდის გამოყენებით და მისი გადამუშავებით. შეაგროვეთ თქვენთვის არასაჭირო ქაღალდი ცალკეულ ურნაში და ჩააბარეთ გადამამუშავებელ საწარმოებს.

- **გახდით მოხალისე ქუჩის ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებსა და თავშესაფრებში:** გამოთქვით მოხალისეობის სურვილი ისეთ ორგანიზაციებში, რომლებიც ეხმარებიან როგორც შინაურ, ისე გადაშენების პირას მყოფ ცხოველებს. ამით, თქვენ ხელს შეუწყობთ მრალავფეროვნების შენარჩუნებასა და ცხოველების სიცოცხლის გადარჩენასაც შეძლებთ.

- **შეისწავლეთ ბუნება თქვენ გარშემო.** თითოეული სწორად გამოცნობილი სახეობისთვის „ნერგს“ მიიღებთ. დამატებით ინსტრუქციას ბოლო თავში ნახავთ.

- **წამოიწყეთ ბრაკონიერობის საწინააღმდეგო კამპანია.** ბრაკონიერობა უდიდეს საფრთხეს უქმნის ბუნებას. ახალგაზრდების ჯერია, ამ გამოწვევას ვუპასუხოთ და გაგრძელების შესაძლებლობა არ მივცეთ. რა შეგიძლიათ გააკეთოთ? პირველ ყოვლისა, თუ თქვენთვის ბრაკონიერობის ფაქტი გახდა ცნობილი, მოგვწერეთ და დატოვეთ შეტყობინება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის ცხელ ხაზზე (153). თუმცა, ბრაკონიერობის პრევენციისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება , როგორც ახალგაზრდებში, ისე უფროს თაობაში.

- **გაეცანით ეროვნულ და საერთაშორისო წითელ ნუსხას.** რომელი მცენარეები და ცხოველები გვხვდება ეროვნულ წითელ ნუსხაში? ისწავლეთ და გაუზიარეთ ინფორმაცია თანატოლებს სემინარის, ინფოგრაფიკის ან სხვა სახით.

- **გაამრავლეთ წითელი ნუსხის ან თქვენთვის საინტერესო სხვა სახეობები თავად.** მცენარეების გამრავლება და შემდგომ ღია გრუნტში გადატანა ძალიან სახალისო და სასიამოვნო საქმიანობაა. დაფიქრდით, იქნებ ეკოკლუბელებსაც შეგიძლიათ მოაწყოთ მინისანერგე სახლში ან სკოლის ბაზაზე.

თითოეული ღონისძიება 30 „ნერგის“ ტოლფასია!

„ნერგების“ მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 15.

ნიკო კეცხოველის სასკოლო ჯრების 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოკლუბის მხარეცვლევი

16



მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები

მშვიდობა გულისხმობს კონფლიქტის შემცირებასა და ძალადობის არარსებობას არაერთგვაროვან სოციალურ ჯგუფებს შორის. სამართლიანობა აერთიანებს ორ ასპექტს: იდეას იმის შესახებ, რომ ყველას მისცე ის, რისი მიღების უფლებაც მათ აქვთ; და ადამიანების გაერთიანებას, რომლებიც წარმოადგენენ მოსამართლეებს, იურისტებს, იუსტიციის მინისტრებსა და სასამართლოებს.

კორუფცია, მოქრთამვა, ქურდობა და გადასახადების თავიდან არიდება განვითარებად ქვეყნებს ყოველწლიურად **1.26 ტრილიონი** აშშ დოლარი უჯდებათ; თანხის ეს ოდენობა საკმარისი იქნებოდა ადამიანებისათვის სიღარიბისგან თავის დასაღწევად, სულ მცირე, 6 წლით მაინც. იმ ბავშვების რაოდენობამ, რომლებიც დაწყებით სკოლას ტოვებენ კონფლიქტისგან დაზარალებულ ქვეყნებში, 2011 წელს 50%-ს მიაღწია, რაც **28.5 მილიონ** ბავშვს უტოლდება და გვიჩვენებს არასტაბილური საზოგადოებისა და განათლების შედეგებს.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #16 მიზნის მისაღწევად?

განათლებული საზოგადოება უზრუნველყოფს კონსულტაციის შესაძლებლობას საკუთარი მოქალაქეებისთვის და რწმუნდება იმაში, რომ მთავრობა იღებს გადაწყვეტილებებს ბავშვებისა და ზრდასრულების ინტერესთა გათვალისწინებით. მაგალითად, საჭიროა ბავშვებთან და ახალგაზრდებთან კონსულტაცია, სანამ იმ სამართლებრივ კანონს მოეწერება ხელი, რომელიც მათ ცხოვრებაზე მოახდენს გავლენას.

რისი მიღწევა გვსურს?

- შევამციროთ **ძალადობა.**
- აღმოვფხვრათ **ბავშვების მიმართ ძალადობა და ბავშვთა წამება.**
- **იურიდიული მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის.**
- შევამციროთ **კორუფცია.**
- ყველას მიუწვდებოდეს **ხელი ფუნდამენტური უფლებების შესახებ ინფორმაციასა და მათ დაცვაზე.**
- **ინკლუზიური და წარმომადგენლობითი** გადაწყვეტილების მიღების პროცესი ყველა დონეზე.

გაეროს თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი 30 წლამდე ასაკის ადამიანია, ახალგაზრდები არ არიან პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების ეპიცენტრში.

ჩვენი, ახალგაზრდების, უფლებაა, ხმა ავიმაღლოთ იმის დასაცავად , რაც გვწამს და ჩვენი ხმები წარმოდგენილი იყოს სახელისუფლებო უწყებებში. ამასთან, 21-ე საუკუნეში კვლავ მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს კონფლიქტები, რომლებიც აიძულებს კონფლიქტით დაზარალებული ქვეყნების დაწყებითი კლასების მოსწავლეებს, მიატოვონ სკოლა. კონფლიქტები ასევე იწვევს სიღარიბის ზრდას და ინფრასტრუქტურის განადგურებას.

რა შეგიძლიათ გააკეთოთ ამ მიზნის მისაღწევად?

- **მონაწილეობა მიიღეთ არჩევნებში!** ისარგებლეთ ხმის მიცემის უფლებით იმისთვის, რომ გამოხატოთ ამა თუ იმ იდეის მხარდაჭერა. გააგონეთ თქვენი ხმა სხვადასხვა უწყებას . გადაწყვეტილებები ხომ მათ მიერ მიიღება, ვინც არჩევნებზე ცხადდება.

- **წარადგინეთ თქვენი კანდიდატურა არჩევნებზე:** თუ წინა ქმედება არ იქნება თქვენთვის საკმარისი და თუ სურვილი გექნებათ, წარმოადგინოთ ახალგაზრდობა ოფიციალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ყოველთვის შეგიძლიათ, წარადგინოთ თქვენი კანდიდატურა არჩევნებზე. მსოფლიოში ამის ბევრი შთამაგონებელი მაგალი-

ნიკო კეცხოველის სასკოლო ჯრების 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოლოგიის გზაკვლევი

თია. მაგალითად, არაბთა გაერთიანებული საემიროების ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი სულ 23 წლისაა.

- **თვალყური ადევნეთ უკანასკნელ სიახლეებს:** საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ქონა დაგეხმარებათ იმაში, რომ იყოთ საქმის კურსში მოახლოებული კონფლიქტების, მნიშვნელოვანი სახელისუფლებო გადაწყვეტილებების სტატუსისა და იმ ახალი კანონების შესახებ, რომლებმაც შეიძლება თქვენზე იქონიონ გავლენა. ინფორმაციაზე წვდომა არის პრივილეგია და ძალა, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ და უნდა გაუზიაროთ თანატოლებს, რათა შეძლოთ დამოუკიდებლად მიიღოთ გადაწყვეტილებები.

- **მიუთითეთ კორუფციის შემთხვევებზე და არ მისცეთ ქრთამი:** მაშინაც კი, როცა თინეიჯერი, სტუდენტი ან ახალგაზრდა პროფესიონალი ხართ, სხვადასხვა ორგანიზაციაში (სკოლაში, საავადმყოფოში, მანქანის მართვის კურსებზე) შესაძლოა, წააწყდეთ ქრთამის მიცემის მცდელობას. მიიღეთ შეგნებული გადაწყვეტილება, არ მიემხროთ ამგვარ ქცევას მაშინაც კი, როცა ქრთამის მიცემა, ერთი შეხედვით, უფრო იოლი ჩანს, ვიდრე სწავლა ან მუშაობა. თუ ქრთამის მიცემის ან აღების მცდელობაში თქვენი ოჯახის წევრები, მეგობრები ან კოლეგები არიან გარეული, დაიცავით თქვენი პრინციპები და ამხილეთ ისინი.

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

- გაანათლეთ საკუთარი თავი და თქვენი მეგობრები თავიანთი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ: ისწავლეთ თქვენი უფლებები, რათა თავი დაიცვათ, თუ კი მათ საფრთხე დაემუქრებათ. დაეხმარეთ სხვებსაც, ისწავლონ თავიანთი უფლებების შესახებ. ამით თქვენ შეგიძლიათ დაიცვათ ბავშვები და ახალგაზრდები ისეთ სიტუაციებში მოხვედრისაგან, სადაც ისინი შესაძლებელია გახდნენ ექსპლუატაციის ან სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი.

- ჩაატარეთ თქვენს თემში სემინარები კონფლიქტის დარეგულირების თემაზე: მოიწვიეთ მასწავლებლები და თანატოლები (ან კოლეგები) სემინარს უნდა გაუძღვეს პროფესიონალი. ეს შეიძლება გახდეს პლატფორმა, სადაც თქვენ და თქვენი მეგობრები მიიღებთ ახალ ცოდნას კონფლიქტების ძალადობრივი მოგვარების თავიდან აცილების, ემპათიისა და ემოციური ინტელექტის შესახებ.

- მიიღეთ მონაწილეობა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მარგინალიზებულ ჯგუფებს შორის გამართულ შეხვედრებში: ამით შეგიძლიათ, თქვენი წვლილი შეიტანოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში თქვენი, როგორც ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლის, ხმის ადრესატამდე მიტანით. მსოფლიოში პარლამენტარების მხოლოდ 2% არის 30 წლამდე ასაკის. შესაბამისად, ახალგაზრდები არასაკმარისად წარმოდგენილი ჯგუფია, რის გამოც თქვენი უფლებების შესახებ განცხადება და დაცვა დამატებით ძალისხმევას მოითხოვს.

- მოითხოვეთ და გაანალიზეთ საჯარო ინფორმაცია[13] თქვენს ქალაქში, სოფელში მიმდინარე პროექტების შესახებ, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს დადებითი ან უარყოფითი გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე.

თითოეული ღონისძიება 20 „ნერგის“ ტოლფასია!

„ნერგების“ მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 16.

ნიკო პეტხოველის სასკოლო ჯრემის 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოკლუბის გზამკვლევი

[13] „საჯარო ინფორმაცია – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის- ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიურად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

17

პარტნიორობა მიზნების მისაღწევად

პარტნიორობა არის სისტემა, რომლის ფარგლებშიც მხარეები თანხმდებიან თანამშრომლობაზე, რომ იმოქმედონ თავიანთი ორმხრივი ინტერესებიდან გამომდინარე. საერთაშორისო განვითარების მხარდაჭერამ 2014 წელს ყველაზე მაღალ ნიშნულს, **135.2 მილიარდ** დოლარს მიაღწია. განვითარებადი ქვეყნების მიერ განხორციელებული იმპორტის **79%** საბაჟო გადასახადის გარეშე შედის განვითარებულ ქვეყნებში. ვალის სიმძიმე განვითარებადი ქვეყნებისთვის უცვლელია და საექსპორტო შემოსავლის დაახლოებით **3%**-ს შეადგენს.

უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში აფრიკაში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი თითქმის გაორმაგდა. მსოფლიო ახალგაზრდობის **30%**, მინიმუმ, ხუთი წელია ონლაინ აქტიური სტატუსით სარგებლობს; მაგრამ **4 მილიარდზე** მეტი ადამიანი არ იყენებს ინტერნეტს და მათი **90%** განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს.

რატომ არის განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების #17 მიზნის მისაღწევად?

ხარისხიანი განათლება იძლევა ისეთ ორგანიზაციებსა და ინდივიდებთან თანამშრომლობის საშუალებას, რომლებიც მუშაობენ გლობალურ მიზნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. საერთაშორისო მხარდაჭერა ხელს უწყობს, ეფექტიანი შესაძლებლობის გაძლიერებას განვითარებად ქვეყნებში. ეს მათ საშუალებას აძლევს, მხარი დაუჭირონ ეროვნულ გეგმას მდგრადი განვითარების თითოეული მიზნის განსახორციელებლად.

რისი მიღწევა გვსურს?

- ფინანსური რესურსების მობილიზება **განვითარებადი ქვეყნებისათვის.**
- გავზარდოთ **ტექნოლოგიებსა და ინოვაციებთან დაკავშირებული შესაძლებლობები** განვითარებად ქვეყნებში.
- **გავზარდოთ შესაძლებლობები, რომლებიც საჭიროა განვითარებად ქვეყნებში მდგრადი განვითარების მიზნების** განსახორციელებლად.
- განვითარებადი ქვეყნებიდან **ექსპორტის გაზრდა.**
- **მონაცემების მონიტორინგი და განხორციელების პროგრესის შეფასება.**

ამ პროცესში გამარჯვება შეუძლებელია ცალკე აღებული ადამიანის, კომპანიისა თუ მთავრობის მიერ. თუ გვსურს, მიზანს მივაღწიოთ, პასუხისმგებლობა ყველამ უნდა გაიზიაროს. ყველა სექტორმა და მთელმა მოსახლეობამ უნდა ითანამშრომლოს.

როგორ უზრუნველვყოთ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში ყველა მხარის ჩართულობა?

- **მოითხოვეთ მთავრობისა და კომპანიებისგან, იყვნენ ანგარიშვალდებულნი:** გაეცანით მთავრობის მიერ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების გეგმას და ისარგებლეთ მოქალაქისთვის მინიჭებული ძალაუფლებით (ხმის მიცემა, სამუშაო ჯგუფებში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში გაწევრიანება) იმისათვის, რომ მთავრობას მოსთხოვოთ აღნიშნულ გეგმაზე ანგარიშვალდებულება. შეგიძლიათ, გამოიყენოთ მომხმარებლის ძალაუფლება და გავლენა მოახდინოთ საწარმოებზე, განახორციელონ მდგრადი პრაქტიკა. შეიძლება ამის განსახორციელებლად ერთი ადამიანის ძალისხმევა საკმარისი არ იყოს, მაგრამ იმისათვის, რომ შეგამჩნიონ, შეგიძლიათ თქვენს თემში დაიწყოთ მოძრაობა.

  თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა, ავიღოთ პასუხისმგებლობა და მივაღწიოთ მიზნებს, რომლებიც მარტო ჩვენს ცხოვრებაზე როდი ახდენს გავლენას!

ნიკო კვანტარაძის სასკოლო ჯრემის 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოსკოლების მზაგავლევი

ეკოკლუბისთვის „ნერგების“ დასაგროვებლად:

- **იმუშავეთ ან გახდით მოხალისე ისეთ ორგანიზაციაში, რომლის საქმიანობის სფეროც მდგრადი განვითარების მიზნებს ეხება:** სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში მოხალისეობით შეგიძლიათ დაეხმაროთ თქვენს ქვეყანას მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

- **დაეხმარეთ ფინანსური რესურსების მოძიებაში მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებულ პროექტებს:** შეგიძლიათ, მხარი დაუჭიროთ პროექტს უშუალოდ თქვენი რესურსებით ან დაიწყოთ კამპანია იმისათვის, რომ დაეხმაროთ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ ინიციატივებს.

თითოეული ღონისძიება 20 „ნერგის“ ტოლფასია!

„ნერგების“ მისაღებად forestry.ge-ზე ატვირთეთ ინიციატივის აღწერილობა, პროცესის ამსახველ ფოტოებთან ერთად და მიუთითეთ კატეგორია - მდგრადი განვითარების მიზანი 17.

რა უნდა ავტვირთოთ პორტალზე აქტივობის აღწერასთან ერთად?

	აქტივობის ტიპი	**დამადასტურებელი მასალის სია (რა შეიძლება დაურთოთ პორტალზე ატვირთული აქტივობის აღწერის სიას)**
1	ონლაინ ან ფიზიკურ გარემოში ჩატარებული სემინარი / შეხვედრა / ტრენინგი / თემატური გაკვეთილი	შეხვედრის ჩანაწერი, დეტალური აღწერა, დღის წესრიგი თემების ჩამონათვალით, ფოტოები, Screen-shots.
2	კვლევა	კვლევის საგნის მოკლე აღწერა, კვლევის ინსტრუმენტი - კითხვარი, კვლევის ანგარიშის ფაილი, კვლევის პროცესის ფოტოები.
3	ონლაინკამპანია	კამპანიის ბმულები და ჰეშთეგები.
4	პეტიცია	პეტიციის ფაილი ან ბმული, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ და რა ფორმით მიაწოდეთ პეტიცია ადრესატს.
5	აქცია, ღონისძიება, მოხალისეობა, ფესტივალი ა.შ. ფიზიკურ გარემოში	სამუშაო პროცესის ამსახველი ფოტოები და/ან ვიდეო ბმული. **ფოტოების გამოგზავნისას დარწმუნდით, რომ გაქვთ ფოტოზე გამოსახული ადამიანის ან მისი მეურვის თანხმობა. ამ წესის დაუცველობა დაუშვებელია.**
6	ბლოგი/ვიდეო ბლოგი	ბლოგის/ვიდეობლოგის ბმული, სადაც გამოქვეყნებული უნდა იყოს, მინიმუმ, 5 სრულყოფილი ბლოგპოსტი (ფოტოებითა და გამართული ტექსტებით). ვიდეობლოგის შემთხვევაში - 5 ვიდეოპოსტი.

ნიკო კვანტარაძის სასკოლო ჯრემის 2024 - იმოქმედე კლიმატისთვის / ეკოკლუბის გზამკვლევი

7	სტატია, სტატიების ციკლი	WORD ფორმატში ატვირთული ტექსტი. ტექსტი ავტორის ორიგინალური ნააზრევი უნდა იყოს. შეგიძლიათ და მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია სხვადასხვა ბეჭდური და ციფრული წყაროებიდან მოიძიოთ. თარგმნეთ, გააკეთეთ პერიფრაზი, გვაჩვენეთ თქვენი ინდივიდუალური ხედვა და არ დაგავიწყდეთ, აუცილებლად მიუთითეთ წყარო/წყაროები.
8	**ბუნება ჩემ გარშემო** - თითოეული სწორად გამოცნობილი სახეობა ფასდება 2 ნერგით	• გამოგვიგზავნეთ ბიომრავალფეროვნების იმ წარმომადგენლების ფოტო, რომელსაც თქვენ სიახლოვეს ნახავთ. • მოიძიეთ მისი ქართული და ლათინური დასახელება. **(აქ უნდა ჩაერთონ მოსწავლეები და არა - პედაგოგები. მასწავლებელი შესაძლოა მხოლოდ დაეხმაროს ეკოკლუბელებს ინფორმაციის მოძიებაში)** • მოგვწერეთ, რა თვისებები აქვს და როგორი ქცევა ახასიათებს (მინიმუმ 100 სიტყვა). • კონკურსის დაწყებამდე გადაღებული ფოტოები არ მიიღება :(• გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ხეხილისა და შინაური ცხოველების, დატყვევებული სახეობების ფოტოები არ მიიღება. **გთხოვთ, ფოტოს გადაღების გამო ნუ შეუქმნით ცხოველებს დისკომფორტს, ნუ დაიჭერთ ძალით! ეს კატეგორიულად ეწინააღმდეგება კონკურსის ფასეულობებს. მადლობა, რომ ამას ითვალისწინებთ.**

ნიკო კვახოფველის სასკოლო ჯრემის 2024 - იმოქმედე ეკოლოგიისთვის / ეკოკლუბის მზაკვლევი

გაითვალისწინეთ, რომ:

- **ერთი აქტივობა ფასდება ერთჯერადად,** იმ შემთხვევაშიც, თუ ის ერთდროულად მდგრადი განვითარების რამდენიმე მიზანთან არის დაკავშირებული. თუ ღონისძიებები ატარებს კამპანიურ და პროგრამულ ხასიათს, მაშინ თითოეული განმეორებითი აქტივობა ფასდება დამოუკიდებლად.

- **ნიკო კეცხოველის პრემიის** ფარგლებში ეკოკლუბებს შეუძლიათ ითანამშრომლონ იმ საერთაშორისო, ეროვნულ ან ადგილობრივ ინიციატივებთან, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ პარალელურად ხორციელდება. თუმცა, აღნიშნულიდან, ქულით **შეფასდება მხოლოდ ის ღონისძიებები, რომლებიც განხორციელებული იყო ნიკო კეცხოველის პრემიის სახელით.** ნიკო კეცხოველის პრემიის სახელით ღონისძიების განხორციელება ნიშნავს, რომ პარტნიორ ორგანიზაციას მიეწოდა ინფორმაცია კონკურსის შესახებ და ეკოკლუბის მიერ ატვირთული მასალა შეიცავს ტექსტურ, დოკუმენტურ ან ვიზუალურ დასაბუთებას. ხშირ შემთხვევაში, საუკეთესო გამოსავალია საკონკურსო სიმბოლოების შექმნა და გამოყენება - ეკოკლუბის ლოგო ან სლოგანი, სადაც ფიგურირებს კონკურსის სახელიც.

- კონკურსი ასევე ინარჩუნებს ორი ან მეტი სკოლის ერთობლივი ინიციატივების მასტიმულირებელ წესებს. კერძოდ, კოალიციური ინიციატივების დროს **„ნერგები" არ იყოფა** ჩართული სკოლების რაოდენობაზე და **თითოეულ სკოლას ეძლევა დამოუკიდებელი შეფასება.** თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ შეფასება ეძლევა პროაქტიურ გუნდს - ეკოკლუბის მიერ დაგეგმილი და მის მიერ განხორციელებული ღონისძიებისათვის და **არ ფასდება პასიური დასწრება სხვის მიერ დაგეგმილ ღონისძიებაზე.**

- ძალაში რჩება თანამშრომლობის მხარდაჭერა სკოლის გარეთ - საჯარო, კერძო და სათემო ორგანიზაციებთან. იმ შემთხვევაში, თუ ეკოკლუბი მონაწილეობს საჯარო განხილვებში და ადგილობრივად მიმდინარე სხვადასხვა ინიციატივაში, **ფასდება მხოლოდ აქტიური ჩართულობა** - თანაორგანიზება, საკითხის ინიცირება, პრობლემის ადვოკატირება, ცვლილების შეთავაზება და სხვ.

კონკურსის კოორდინატორების საკონტაქტო ინფორმაცია

1.	მაია	კოდუა	სამეგრელო-ზემო სვანეთი; აფხაზეთი	maia.kodua@cenn.org	599 15 40 96
2.	ირაკლი	მიქელაძე	აჭარა, გურია	irakli.mikeladze@cenn.org	595 70 20 06
3.	ლევან	სებისკვერაძე	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	levan.sebiskveradze@cenn.org	599 615 569
4.	ლევან	სებისკვერაძე	სამცხე-ჯავახეთი	levan.sebiskveradze@cenn.org	599 61 55 69
5.	გიორგი	კავთელაძე	მცხეთა-მთიანეთი	giorgi.kavteladze@cenn.org	558 24 69 34
6.	მაია	კეზევაძე	იმერეთი	kezevadzemaia@gmail.com	595 50 16 51
7.	გიორგი	დემურაშვილი	ქვემო ქართლი	kkpic.bolnisi@gmail.com	599 21 92 11
8.	კახა	სუხიტაშვილი	კახეთი	kakha.sukhitashvili@cenn.org	597 28 28 15
9.	მარიკო	წიქორიძე	შიდა ქართლი	mariko.tsikoridze@cenn.org	599 63 04 24
10.	ლევან	სებისკვერაძე	თბილისი	levan.sebiskveradze@cenn.org	599 61 55 69

Forestry.ge

ნიკო კეცხოველის
პრემია
2024